ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 16 ოქტომბერი, 2023 №203 (9239) ფასი: 80 თეთრი

ისრაელის თავდაცვის მინისტრი: „ეს იქნება ომი, რომელიც სამუდამოდ შეცვლის სიტუაციას“

გვ.3

„გიორგი მარგველაშვილს ოპოზიციის გაერთიანება შეუძლია“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „ნიკა მელიამ თავისი პოლიტიკური შესაძლებლობები ამოწურა“

„სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილის შეცდომაა“

გვ.2

დავით ბერძენიშვილი: „ოცნების“ ხელისუფლებაში არ არის კვალიფიკაცია, ინტელექტი, არის აკვიატება და ივანიშვილის ხედვები“

უმრავლესობა იმპიჩმენტის პროცედურისთვის ემზადება

გვ.4

IMPEACHMENT



ბოლო ოფიციალური ცნობებით, ისრაელში დაღუპულია 1.400 ადამიანი, ხოლო ღაზაში 2.300-ზე მეტი

გვ.3

ჩინეთის საგარეო მინისტრი: „ღაზაში ისრაელის ქმედებები თავდაცვის ფარგლებს სცდება“

მარნეულში ვის ეძებს პოლიცია 38 წლის კაცის მკვლელობისთვის

გვ.4

ისტორიები

გვ.5

რა იყო გამოსახული ქართველ მეფეთა გერბებზე?!

მედიცინა

მიიღეთ ნიორი თაფლთან ერთად და ივარჯიშეთ დილაობით

2 ალეკო ელისაშვილი: „ჩვენ გარშემო მიმოვიხედოთ, ერთადერთი მშვიდი მეზობელი შავი ზღვაა — არ შეიძლება ასე არხეინად ვიყოთ“

6 ბაიდენი პამასის მიერ დატყვევებულ ამერიკელებს გამოიხსნის

7 შენგელია ისევ საუკეთესოა

6 ბობოქარი ღამე ავდეევკაში

1983230720223

„სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილის შეცდომაა“

დავით ბერძენიშვილი: „ოცნების“ ხელისუფლებაში არ არის კვალიფიკაცია, ინტელექტი, არის აკვიატება და ივანიშვილის ხედვები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ბერძენიშვილი პასუხობს.

– ბატონო დავით, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? დღეს საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საქმეზე გადაწყვეტილება უნდა გამოაცხადოს. რა მოლოდინი გაქვთ?

– საკონსტიტუციო სასამართლოში ერთსულოვნებას არ ველოდები. ნაკლები იქნება ისეთი მოსამართლე, ვინც არ დააკმაყოფილებს ხელისუფლების მოთხოვნას. ჩემი ვარაუდით, მეტი იქნება, ვინც დააკმაყოფილებს, მაგრამ იქნება თუ არა საკმარისი, ეს არ ვიცი, ამიტომ მაგაზე ვერ ვიმარჩიელებ. ერთზე მეტი წინაალმდეგი იქნება, მაგრამ რამდენად მეტი, ეს არ ვიცი. პროცესი გადადის პარლამენტში, მაგრამ მე არ ველოდები, რომ 100 ხმას მოაგროვებს ხელისუფლება. ძალიან რთული იქნება, 12 ოპოზიციონერი უცებ რომ აღმოჩნდეს გაყიდული. ეს ნიშნავს, რომ მაშინ მათი პოლიტიკური კარიერა უნდა დამთავრდეს. ეს ურთიერთბრალდებები, რომ არიქა და ნაცები არიან გაყიდული ან ვინმე სხვები, ამას არ ველოდები. მე საერთოდ იარლიყების მიწებების მომხრე არა ვარ და არც ობიექტური საფუძველი არ მაქვს იმისთვის, ვიფიქრო, რომ 12-13 დეპუტატი უცებ აღმოჩნდება ხელისუფლების მხარეს.

– ფარული კენჭისყრის ნაცვლად ღია კენჭისყრას ითხოვს ხელისუფლება და ეს უფრო ხომ არ გაურთულებს საქმე?

– დიახ, ღია კენჭისყრა რომ მოინდომოს ხელისუფლებამ, ღიად 13 ოპოზიციონერი ხმას ნამდვილად ვერ მისცემს. მოკლედ, მე არ ვარ განწყობილი ვიფიქრო, რომ იმპიჩმენტი შედგება.

– მაშინ საერთოდ რისთვის დასჭირდა „ქართულ ოცნებას“ ამ პროცესის წამოწყება?

– საკუთარი მხარდამჭერების გასამყარებლად. ევროპასაც, ამერიკასაც ეუბნება, რომ აი ასეთი ვარ, როგორიც ვარ, ასეთი მიმიღეთ. თქვენ გჭირდებათ საქართველო, ჩვენ მაინცდამაინც არ გვჭირდება კანდიდატის სტატუსი, მაგრამ უარს არ ვიტყვით თუ მოგვცემთ, ასევე, კანდიდატობას თუ არ გამოიყენებთ ჩვენი ხელისუფლებიდან გადასაგდებად. მოკლედ, ორბანს თუ იტანთ, მე რითი ვარ ორბანზე ნაკლებიო, თქვა ბიძინამ თავისი ორივე ირაკლითურთ.

– ბიძინა ივანიშვილი ახსენეთ და სალომე ზურაბიშვილს ადანაშაულებენ, ბიძინასთან არის გარიგებულიო. ამ ვერსიის რამდენად გჯერათ?

– მე არ ვმარჩიელობ ხოლმე. საერთოდ მგონია, სალომე ზურაბიშვილი რაც დროზე შეუწყვეტს ოთარ ფარცხალაძეს მოქალაქეობას, მით უფრო მარტივად გასცემს ამ კითხვაზე პასუხს. ფარცხალაძეს ბიძინა რომ მფარველობს, ეს აშკარაა. სალომე ზურაბიშვილმაც უნდა შეამციროს საუბრები ბიძინასთან გარიგებაზე, თუ ქვეშევრდომობაზე, მე არასდროს არ დამბრალებია სალომე ზურაბიშვილისთვის ეს. საკმაოდ კარგად ვიცნობ სალომე ზურაბიშვილს, ვიცი მისი უხიაგო ხასიათიც და ბიძინა ივანიშვილის შეცდომა იყო მარგველაშვილისა და ზურაბიშვილის შერჩევაც.

ივანიშვილს ეგონა, რომ ამ ადამიანებს მართლა პლასტელინივით, რა ფორმასაც უნდოდა, იმ ფორმას მისცემდა, მაგრამ ბოდიში, ეს ადამიანები არ არიან პლასტელინის.

ბოლო პერიოდში სალომე ზურაბიშვილის პროევროპული და მკაფიო პოზიცია ქვეყნისთვის სასარგებლოა. ამიტომ წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, ამჟამად, სალომე ზურაბიშვილი პოზიტიურ როლს ასრულებს.

– ორბანი ახსენეთ და კვირის ბოლოს დასრულდა მისი სამდღიანი ვიზიტი საქართველოში. რამდენად წაადგება ჩვენს ქვეყანას ორბანის მხარდაჭერა? რა გზავნილები დაგვიტოვა და ევროკავშირი რამდენად გაიზიარებს ორბანის პოზიციას?

– ევროკავშირი უნგრეთს ვერ გააგდებს ევროკავშირის შემადგენლობიდან. სხვათა შორის, ნატოში შვედეთის და ფინეთის გაწევრიანებას ორბანი ხელს არ უშლის. ის თამაშობს იქითაც და აქეთაც. საქართველოს კანდიდატობასაც ის მხარს უჭერს. ეს კი საქართველოს ხელისუფლებას აძლევს საშუალებას თქვას, რომ, აი ბატონო, ორბანი მხარს გვიჭერს. ჰყავს უნგრეთს ასეთი აფერისტი მთავრობა და რას ვიზამთ. არც ისეთი სიბნელეა უნგრეთში, როგორც ბევრს ჰგონია.

– რა მოლოდინი გაქვთ, მივიღებთ კანდიდატის სტატუსს?

– ძალიან უნდა ევროპას, რომ მოგვცეს სტატუსი. ახლა იქნება რეკომენდაცია ევროკომისიის და მერე დეკემბერში იქნება ევროპარლამენტში კენჭისყრა. ძალიან უნდა ეცადოს და მოახერხოს ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ ევროპამ კანდიდატის სტატუსზე უარი გვითხრას. გარკვეულ შენიშვნებზე „ოცნების“ ხელისუფლებაც ამბობს, რომ გავითვალისწინებთო. ოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტიც, ვხედავთ, რომ უკან წაიღეს. ისეთი კანონი შეიმუშავეს, რომ მამუკა ხაზარაძე გამოდიოდა ოლიგარქი და ბიძინა ივანიშვილი – არა. ასეთ რაღაცებზე უკან დამხევები არიან. რუსული კანონიც მათთვის პოლიტიკურად ძალიან წამგებიანი იყო, ვნახეთ, როგორი კუდამოძუებულები წაბრძანდნენ უკან. ასეთ თამაშს კვლავაც გააგრძელებს ეს ხელისუფლება.

„ოცნების“ ხელისუფლებაში არ არის კვალიფიკაცია, არ არის ინტელექტი, არის აკვიატება და არის ბიძინა ივანიშვილის ხედვები. რაც არ არის სტანდარტული, არ არის პოლიტიკური და თანამედროვე. მე მგონია, რომ როცა საქმე საქმეზე მიდგება და თუ ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნიდან ვერ გაასწრო, ძალიან კვალიფიციურ მოსამართლეს, ძალიან გაუჭირდება ფსიქიატრთან ჭიდილი. ბიძინა ივანიშვილის ქმედებები ძალიან ხშირად არ არის რაციონალური. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ბიძინა აზროვნებს ისე, რასაც ჩვენ აზროვნებას ვეძახით.

– ბატონო დავით, რას იტყვით ისრაელში განვითარებულ პროცესებზე? დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღება აქეთ არის მიმართული. რუსეთ-უკრაინის ომიც კი მეორე პლანზე გადავიდა. რა მოლოდინები გაქვთ? მოვლენების როგორ განვითარებას ელით?

– მე ვგულშემატკივრობ ისრაელს. ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია არის სწორი. ვიზიარებ ბლინკენის განცხადებებს. ახლა ისრაელს, რომელსაც 1.200 ადამიანი და მათგან აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლე ტერორისტებმა დაუხოცეს, მოსთხოვო ის, რომ რაკი ჰამასი მოსახლეობას ფარად იყენებს, ამიტომ შენ სპეცოპერაცია არ ჩაატარო, ეს სწორი არ არის. ისრაელმა მისცა 24-საათიანი ვადა, რომ მოსახლეობა ღაზას სექტორიდან სამხრეთისკენ წავიდეს. ჰამასი კი არ არის მოწადინებული, რომ ეს მოსახლეობა სამხრეთით გაუშვას, პირიქით, უნდა რომ ფარად აიფაროს. ისრაელი ცნობს არაბულ პალესტინას 1948 წლიდან. არაბები და პალესტინელები არ ცნობდნენ ისრაელის სახელმწიფოს არსებობას. თუმცა კვლავაც არიან დიდი ძალები, ვინც უარს ეუბნება ისრაელს არსებობაზე. რა თქმა უნდა, ჰუმანიტარული ფაქტორები ძალიან მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია, თუმცა ომის დროს არ ხერხდება მოსახლეობის გამოყოფა სამხედრო ძალისაგან. ომი ისეთი საშინელებაა, სადაც სამართლიანობა არ არის მთავარი კრიტერიუმი. ამიტომ მე მხარს ვუჭერ ისრაელს!

– ფიქრობთ, რომ ისრაელი უკან აღარ დაიხევს? მოლაპარაკებებზე აღარ წავა?

– მოლაპარაკებები ყოველთვის იქნება. ოღონდ ძალის პოზიციიდან იქნება ეს მოლაპარაკებები და როგორც მინიმუმ, ღაზას სექტორი აღარ უნდა იყოს ასეთი საშინელი ტერორიზმის ბუდე! ჩვენი ადგილი კი არის ამერიკასთან, ევროპასთან, ებრაელ ხალხთან და უკრაინასთან ერთად!

ალეკო ელისაშვილი: „ჩვენ გარშემო მიმოვიხედოთ, ერთადერთი მშვიდი მეზობელი შავი ზღვაა – არ შეიძლება ასე არხეინად ვიყოთ“



– ჩვენ გარშემო მიმოვიხედოთ, ერთადერთი მშვიდი მეზობელი შავი ზღვაა, ისიც ხანდახან თავს გვესხმის, როცა ღელვაა. არ შეიძლება ასე არხეინად ვიყოთ! – აი, რატომ? რის იმედად ვართ? ან რაღაცა იცის „ქართულმა ოცნება“, რომელსაც არ გვეუბნება – ან რა ვიცი, ყველა მთავარანგელოზი ერთად გადაგვეფარა, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

მისივე თქმით, ნებისმიერი ქვეყანა და სახელმწიფო მზად უნდა იყოს ომისთვის.

– ისრაელში რომ პოლარიზაცია იყო, ასეთი მონაგონია. რა ნაცი, რა „ქოცი“, რა სააკაშვილის და რა ივანიშვილის მხარდამჭერი, ერთმანეთს ხოცავდნენ. შარშან ოთხი არჩევნები ჩატარდა და ვერა და ვერ ირჩევდნენ მთავრობას, იმიტომ, რომ საშინელი დაპირისპირება იყო სხვადასხვა პარტიას შორის. საქმე საქმეზე რომ მიდგა, რა გააკეთეს, რამხელა პოლიტიკური კულტურა აქვთ, გამოვიდა ბენიამინ ნეთანიაჰუ და თქვა, რომ „მოდით, ახლა ეს გადავწიოთ გვერდზე, ახლა ვქმნით დროებით ეროვნული თანხმობის მთავრობას და გადაწყვეტილებას ერთად ვიღებთ“.

არ ვიცი, ჩვენამდე როდის მოვა ის კულტურა, რაც ისრაელს ახასიათებს. მათ შორის, სამობილიზაციო და ჯარში წასვლის კულტურა. ისრაელში 48 საათში 300 ათასი კაცი დააყენეს იარაღ ქვეშ და ის კი არა, რომ უიმე, იარაღი აქედან ისვრის თუ იქიდან. ეროვნული ჟინი არ გვაკლია, მაგრამ ებრაელებს განასხვავებს სხვებისგან ის, რომ ზუსტად იციან სხვებისგან, ომის შემთხვევაში რას აკეთებენ, ზუსტად იციან, იარაღი და აღჭურვილობა სად არის, როგორ მოქმედებენ და სად მიდიან და ა.შ. ისინი ბრმად არ მიდიან. ჩვენ, როცა სააკაშვილის დროს წაგვიყვანეს ნახირივით რეზერვისტები, გაგებაში არ ვიყავით, პირი დაღებული გვქონდა და ნახევარზე მეტს ავტომატი პირველად ეკავა ხელში. ვინ იყო ჩვენი მეთაური, სად გაგვიყვანეს, რა დავალება გვქონდა, დავდიოდით ბატებივით.

„ქართულმა ოცნებამ“ რა გააკეთა – რეზერვი საერთოდ არ არის, სააკაშვილს „სიაფანდი“ რეზერვი ჰყავდა, აბსოლუტურად ფასადური. წაგვიყვანეს 18 დღე, აბა, ტაქტიკური მომზადება და იყო „ჯოკრის თამაში“ ტყეში. აბა, ამათ შეხედეთ, რა მხეცები არიან, როგორ ერთ მუშტად შეიკრნენ.

ნებისმიერი ქვეყანა, ნებისმიერი სახელმწიფო უნდა იყოს მზად ომისთვის. თუ გინდა, რომ ომი თავს არ დაგატყდეს, უნდა იყო მზად. ჩვენს ახალ „თავდაცვის კოდექსში“ 90% რაც წერია, არის ძალიან კარგი. აქამდე რას აკეთებდა „ქართული ოცნება“, 11 წელია ხელისუფლებაშია – აქამდე არ შეიძლებოდა? მაგრამ „თავდაცვის კოდექსი“ მთავარს აწესრიგებს, ბევრს არაფერს არ აწესრიგებს. სამოქალაქო თავდაცვის ინფრასტრუქტურას ვერ მოაწესრიგებს, შეიარაღების შესყიდვას ის ვერ მოაწესრიგებს – ის აწესრიგებს გაწვევის ახალ წესს, რომელიც სწორი წესია, მაგრამ 2025 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედეს, მაგრამ ეს საფრთხეები დღესაც ხომ არის? რატომ ხვალვე არ ვიწყებთ ამ გაწვევის ახალ სისტემას? ჩვენ გარშემო მიმოვიხედოთ, ერთადერთი მშვიდი მეზობელი შავი ზღვაა, ისიც ხანდახან თავს გვესხმის, როცა ღელვაა. არ შეიძლება, ასე არხეინად ვიყოთ! დღესაც თავდაცვის კომიტეტში განხილვა იყო, სუს-ის და შსს-ს ერთობლივი ბიუჯეტი მეტია თავდაცვის ბიუჯეტზე. აი, რატომ? რის იმედად ვართ? ან რაღაცა იცის „ქართულმა ოცნება“, რომელსაც არ გვეუბნება, რომ „მოდით, კაცო, ჩვენზე არანაირი თავდასხმა არ იქნება“, ან რა ვიცი, ყველა მთავარანგელოზი ერთად გადაგვეფარა. გეგონება ისლანდიაში ვართ, გარშემო მარტო გეიზერებია ან ახალ ზელანდიაში, თავს რომ არასდროს არ დასხმია არავინ. დაგვემხო ყველაფერი თავზე. მითხარი, თავშესაფარი, მეტროს გარდა, სადაც არის? თბილისში რომ მოინდომოთ და სირენა ჩართოთ, ვერ ჩართავთ, – განაცხადა ელისაშვილმა.

ამასთან, ელისაშვილი საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის შესაძლო იმპიჩმენტის საკითხს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ის დარწმუნებულია, საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევას გამოაცხადებს და საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის 100 ხმას შეაგროვებს.

– მე დარწმუნებული ვარ, რომ მერაბ ტურავა პრეზიდენტის კონსტიტუციის დარღვევას გამოაცხადებს. შემდეგ ეს საკითხი დადგება კენჭისყრაზე და თუ ეს საკითხი კენჭისყრაზე გავიდა, სალომე ზურაბიშვილს იმპიჩმენტს გამოუცხადებენ. შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ იმ 100 ხმაში ორი ხმა პარტია „მოქალაქეების“ არ იქნება. თუ კენჭისყრამდე მივა საქმე, მე ვარ დარწმუნებული, რომ პრეზიდენტს გადააყენებენ იმპიჩმენტის გზით. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი იქნება. „ქართული ოცნება“ საშინაო მაშინ, როცა თავს იკატუნებს. დღესაც კობახიძემ თქვა, რომ ჩვენ ამდენი ხმა არ გვაქვს, 90-ზე მეტი ტაბლოზე არ იქნება. თავს იკატუნებენ, როცა თავს იკატუნებენ, მაშინ არიან საშიშები. რატომ უნდა ელაპარაკო პატარ-პატარა ფრაქციებს და პოლიტიკურ ჯგუფებს, როდესაც შეგიძლია ერთს და მსხვილს ელაპარაკო, – აღნიშნა ელისაშვილმა.

„ეხო კავკაზა“: „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა რუსეთის დიქტატურად აღიარების შესახებ ევროსაბჭოს რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს“

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა რუსეთის დიქტატურად აღიარების შესახებ ევროსაბჭოს რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს, – ამის შესახებ ინფორმაციას „რადიო თავისუფლების“ პროექტი „ეხო კავკაზა“ ავრცელებს.

ცნობისთვის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 13 ოქტომბერს მიღებული რეზოლუცია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს „არალეგიტიმურად“ აცხადებს, თუ ის თანამდებობაზე 2024 წლის არჩევნების შემდეგაც დარჩება.

საქართველოდან აღნიშნულ რეზოლუციას მხოლოდ პარტია „მოქალაქეების“ დეპუტატმა ქეთევან თურაზაშვილმა დაუჭირა მხარი.

ასამბლეაში „ქართული ოცნების“ დელეგაციის ხელმძღვანელის, ირაკლი ჩიქოვანის თქმით, მმართველი პარტიის წარმომადგენელთა ნაწილი დამკვირვებლების როლში პოლონეთში იმყოფებიან, ხოლო მას „სხვა საქმეები“ ჰქონდა.

– ჯერ ერთი, თქვენთან ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტების შეთანხმებას არ ვაპირებ. მეორე რიგში, საზოგადოებას ავუხსენი და ვთქვი, რომ ადრე, სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა შემადგენლობით ვმონაწილეობდით [ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის] სესიებში, ამიტომ აქ არანაირი ქვეტექსტი არ არსებობს. თუ რუსეთის ფედერაციასთან განვიხილავთ რამეს, ან რამეზე ვსაუბრობთ, ეს მხოლოდ ერთი ამოცანიდან გამომდინარეობს – ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი თანამოქალაქეების მდგომარეობა, – განაცხადა ჩიქოვანმა.

ამავდროულად, კითხვაზე, არის თუ არა რუსეთში დიქტატურა, „ქართული ოცნების“ დელეგაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რუსეთში „არის პრობლემები, რომლებიც დემოკრატიის სრულფასოვან მოქმედებასთან არის დაკავშირებული“.

ცნობისთვის, „ქართული ოცნების“ დელეგაცია 2022 წელს ევროსაბჭოს რუსეთის ტერორისტულ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ რეზოლუციასაც არ შეუერთდა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გიორგი მარგველაშვილს ოპოზიციის გაერთიანება შეუძლია“

სოსო ცინცაძე: „ნიკა მელიამ თავისი პოლიტიკური შესაძლებლობები ამოწურა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, 2024 წელს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, რამდენად არის მოსალოდნელი ოპოზიციურ ფლანგზე ე.წ. მესამე ძალის გამოჩენა?

– სიმართლე გითხრათ, ძალიან გამკვირვებია, როდესაც მესამე ძალის გამოჩენაზე საუბრობენ. საიდან? ხომ უნდა დაისვას კითხვა. არანაირი რესურსი ჩვენს ქვეყანას არა აქვს ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირების. თუ ვინმე იყო, ესმის თუ არ ესმის, იცის თუ არ იცის, ყველა პოლიტიკურ ავანსცენაზეა წარმოდგენილი. საიდან უნდა მოვიდეს ახალი სახეები?! მართლა ახალ ძალაზეა საუბარი, თუ უკვე არსებული, ძველების, ამომრჩევლისთვის კარგად ნაცნობი პოლიტიკოსების ხელახალ გადალაგებაზე? მაშინ შეიძლება ოპოზიციურ ფლანგზეც იყოს ასეთი გადალაგება და სახელისუფლო ფლანგზეც, მაგრამ ეს არ იქნება არანაირი მესამე ძალა. ეს პოლიტიკური ძალები თუ პარტიები კარგად ჰყავს გამოცდილი ამომრჩეველს. ლამის 30 წელია ამ ხალხს ვუყურებთ და რა სიახლე უნდა შემოგვთავაზონ მათ.

ერთადერთი, ვისაც შეეძლო რეალურად თავის გარშემო შემოეკრიბა ინტელექტუალები, შედარებით ახალგაზრდა თაობა, ეს თავად უკვე კარგად გამოცდილი პოლიტიკოსი მარგველაშვილია, მაგრამ, როგორც ჩანს, მას არ აქვს გადაწყვეტილი, რომ პოლიტიკას დაუბრუნდეს. არადა, გიორგი მარგველაშვილს შესწევს უნარი, რომ ოპოზიციურ ფლანგზე გამაერთიანებელი იყოს.

– გამორიცხავთ პრეზიდენტ მარგველაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას?

– 2024 წლის არჩევნებზე გამოვრიცხავ. თუმცა, საქართველოს ნამდვილად არ აქვს იმის ფუფუნება, რომ გიორგი მარგველაშვილისნაირი ინტელექტუალები, პოლიტიკური გამოცდილების მქონე პოლიტიკოსები, თან ახალგაზრდა ასაკში, მემუარების წერისთვის იცლიდნენ.

– ნიკა მელიაზე მინდა გკითხოთ, პრეზიდენტ სააკაშვილის მისაღების პრეზენტაციაზე მისი გამოჩენა, რა გზავნილი შეიძლება იყოს?

– თუ არ ვცდები, მან თავად ისაუბრა ამაზე. თქვა, რომ ის იქ უნდა ყოფილიყო იმ დღეს. სიმართლე გითხრათ, განსაკუთრებული არაფერი წამიკითხავს მის ამ ჟესტში. სრულიად ჩვეულებრივი, უფრო ალბათ ადამიანური მხარდაჭერა იყო.

ნიკა მელიამ თავისი პოლიტიკური შესაძლებლობები ამოწურა. მან შანსი გაუშვა ხელიდან. ბევრად უფრო სხვანაირად შეეძლო მოქცეულიყო.

– პარტიის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს.

– გასაგებია, მაგრამ შეეძლო მოლაპარაკება, გარკვეულ პირობებზე დათანხმება. ამას ვამბობ იმიტომ, რომ რაც მოხდა, ეს იყო ნაციონალური მოძრაობის ეპიტაფია – წარწერა საფლავის ქვაზე! თუმცა, „ევროპული საქართველოს“ გამოყოფით დაიწყო ამ პარტიის, მე ვიტყოდი, ტრაგედია. ასეთი სუსტი და უძლური ეს პარტია არასდროს არ ყოფილა. ძალიან ცუდი პოზიციით ხვდება ძალიან მნიშვნელოვან საპარლამენტო არჩევნებს.

– გიორგი გახარიას პარტია, როგორც ჩანს, ისევ დამოუკიდებლად გავა არჩევნებზე. თქვენი აზრით, რა შანსები აქვთ მათ?

– ძალიან უცნაურია, მაგრამ გახარია მოქმედებს პრინციპით – ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან! წარმოუდგენელია გახარიას არ ესმოდეს, რომ ასე ვერანაირ შედეგს ვერ დადებს. ასე პოლიტიკა არ კეთდება. ის ახლა ყოველდღე ტელეეთერში უნდა იყოს, ყოველდღე ბრიფინგებს უნდა მართავდეს, რომ ამომრჩეველს არ დაავიწყდეს. მას ხალხისთვის სათქმელი უნდა ჰქონდეს. როგორც ჩანს, ხალხისთვის არაფერი არ აქვს სათქმელი. ბევრი კითხვაა მის მიმართ, ამ კითხვებზე პასუხების გაცემას მაინც უნდა ცდილობდეს.



– რაც შეეხება სახელისუფლო ფლანგს. რა მიმართულებით შეიძლება სიახლე იყოს? შეიძლება პარტიის გაყოფა მოხდეს ან „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული ჯგუფი გამოჩნდეს?

– ალბათ, ეს უფრო დამოკიდებული იქნება, თუ როგორი რეიტინგი ექნება წინასაარჩევნოდ მმართველ პარტიას. როგორ განვითარდება ქვეყნის შიგნით თუ გარეთ პროცესები. „ქართული ოცნება“ მათ რეიტინგს კარგად შეისწავლის და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას თუ როგორ იმოქმედოს.

ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ „ოცნებას“ ალბათ ყველა ზომა ექნება მიღებული საიმისოდ, რომ სათადარიგო გეგმები ჰქონდეს და საჭიროებისამებრ აამოქმედოს.

არაფერ განსაკუთრებულს და ექსტრაორდინარულს არ ველოდები. ეს არჩევნებიც ჩაივლის ისე, როგორც სხვა არჩევნები. ოპოზიციას ცოტა ხნით ექნება ბრაზი, მერე მალე გადაუვლის და ასე გაგრძელდება პოლიტიკური ცხოვრებაც.

ენტონი ბლინკენი ისრაელში ბრუნდება

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ენტონი ბლინკენი ორშაბათს კვლავ ისრაელში გაემგზავრება, – ინფორმაციას CNN-ი სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერზე, მეთიუ მილერზე დაყრდნობით ავრცელებს.

მილერის განცხადებით, ბლინკენი ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება.

სახელმწიფო მდივანი ამჟამად კაიროში იმყოფება. 7 ოქტომბრის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ის უკვე იმყოფებოდა ისრაელში, იორდანიაში, კატარში, ბაჰრეინში, საუდის არაბეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

ჯეიმს კლევერლი: „ისრაელი ცდილობს მშვიდობიანი მოქალაქეების საფრთხიდან გამოყვანას, „ჰამასი“ კი მათ საფრთხეში ჩაგდებას“

გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ჯეიმს კლევერლის განცხადებით, პალესტინელი ხალხის ტანჯვაში დამნაშავე „ჰამასია“.

მისი თქმით, ისრაელს უფლება აქვს საკუთარი თავი დაიცვას, თუმცა ისრაელი ცდილობს, თავიდან აიცილოს მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

– ისრაელს აქვს უფლება, დაიცვას თავი „ჰამასის“ ტერორისტული თავდასხმებისგან. მათ აქვთ მოვალეობა, მინიმუმამდე დაიყვანონ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი და მე ამას ვაცხადებდი ამ საკითხთან დაკავშირებით ისრაელის მთავრობასთან ყველა საუბარში, – აცხადებს ჯეიმს კლევერლი.

მისი თქმით, ისრაელის პრეზიდენტმა ისააკ ჰერცოგმა მას პირადად უთხრა და ასევე საჯაროდაც განაცხადა, რომ ისრაელი პატივს სცემს და დაიცავს საერთაშორისო კანონს.

– გვსურს, მინიმუმამდე დავიყვანოთ პალესტინელთა მსხვერპლი. გვსურს, მინიმუმამდე დავიყვანოთ ისრაელის მსხვერპლი. გვინდა, რომ ყველამ პატივი სცეს მშვიდობიან მოსახლეობას, მაგრამ რეალური განსხვავება ისაა, რომ ისრაელი ცდილობს მშვიდობიანი მოქალაქეების საფრთხიდან გამოყვანას. „ჰამასი“ ცდილობს მშვიდობიანი მოსახლეობის საფრთხეში ჩაგდებას და ეს არის ამ ორს შორის ფუნდამენტური განსხვავება, – აღნიშნა ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ირანი იმუქრება, რომ თუ ღაზას დაბომბვა არ შეწყდება, ამას შედეგები მოჰყვება

ირანი ისრაელს აფრთხილებს, რომ თუ ღაზას სექტორის დაბომბვას არ შეწყვეტს, ამას შორსმიმავალი შედეგები მოჰყვება.

საინფორმაციო პორტალ Walla-სა და The Jerusalem Post-ის ინფორმაციით, ირანმა ისრაელს გაერო-ს საშუალებით შეტყობინება გაუგზავნა, რომ ის შესაძლოა კონფლიქტში ჩაერიოს, თუ ისრაელი ღაზაში „ჰამასის“ გასანადგურებლად სამხედრო ოპერაციას განაგრძობს.

მედიის ინფორმაციით, შაბათს, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჰოსეინ ამირაბდოლაჰიანი გაეროს სპეციალურ კოორდინატორს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის საკითხებზე, ტორ ვენესლანდს ბეირუთში შეხვდა, რათა არსებული სიტუაცია განეხილათ.

ამირაბდოლაჰიანი მოგვიანებით კატარში „ჰამასის“ ლიდერს, ისმაილ ჰანიეს შეხვდა. შეიარაღებული დაჯგუფების ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, გააგრძელონ თანამშრომლობა „ჰამასის“ მიზნების მისაღწევად.

ამასთან, გაეროში ირანის მისიამ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ „თუ ისრაელის აპარტეიდის ომის დანაშაულები და გენოციდი დაუყოვნებლივ არ შეჩერდება, სიტუაცია შეიძლება უკონტროლო გახდეს და შორს მიმავალი შედეგები გამოიწვიოს, რომელზედაც პასუხისმგებლობა გაეროს, უშიშროების საბჭოსა და იმ სახელმწიფოებს ეკისრებათ, რომლებსაც საბჭო ჩიხში შეჰყავთ“.

ისრაელის თავდაცვის მინისტრი: „ეს იქნება ომი, რომელიც სამუდამოდ შეცვლის სიტუაციას“



ისრაელის თავდაცვის მინისტრი, იოავ გალანტი აცხადებს, რომ ღაზას სექტორში პალესტინის ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ომი სამუდამოდ შეცვლის სიტუაციას ისრაელში.

– ეს ომი არის ომი სინათლისა და სიბნელის შვილებს შორის, – აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, ისრაელის არმია არ დაასრულებს მისიას, სანამ „ჰამასს“ არ გაანადგურებს.

– ეს არის კულტურა, რომელიც არ ეთანხმება ჩვენს აქ არსებობას, ველურები, მხეცები, რომლებმაც მოკლეს ჩვენი ჯარისკაცები, ჩვენი ბავშვები, ჩვენი მოქალაქეები. ჩვენ მივაღწევთ ყველა გვირაბს, მივაღწევთ „ჰამასის“ ყველა წევრს და არ დავასრულებთ მისიას, სანამ „ჰამასს“ არ გავანადგურებთ.

ეს იქნება ძლიერი ომი, ეს იქნება სასიკვდილო ომი, ეს იქნება ზუსტი ომი და ეს იქნება ომი, რომელიც სამუდამოდ შეცვლის სიტუაციას, – განაცხადა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა.

ბოლო ოფიციალური ცნობებით, ისრაელში დაღუპულია 1.400 ადამიანი, ხოლო ღაზაში 2.300-ზე მეტი

ისრაელის მთავრობის ინფორმაციით, „ჰამასის“ თავდასხმების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 1.400-მდე გაიზარდა. ინფორმაციას BBC-ი ავრცელებს.

რაც შეეხება ღაზას, პალესტინის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ღაზას სექტორის წინააღმდეგ ისრაელის მიერ განხორციელებული დაბომბვისას 2300-ზე მეტი ადამიანია დაღუპული.

შეგახსენებთ, ისრაელმა ღაზაზე საპასუხო შეტევა „ჰამასის“ მიერ 7 ოქტომბერს განხორციელებული მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ დაიწყო.

ისრაელში, ლიბანთან საზღვარზე განხორციელებულ სარაკეტო თავდასხმებზე პასუხისმგებლობა „ჰესბოლამ“ აიღო

ისრაელში, ლიბანთან საზღვარზე დღეს დილით განხორციელებულ სამ სარაკეტო თავდასხმაზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება „ჰესბოლამ“ აიღო, – ინფორმაციას The Times of Israel-ი ავრცელებს.

შეიარაღებული დაჯგუფების მტკიცებით, მათი სამიზნე ისრაელის ტანკი იყო.

ისრაელის თავდაცვის ძალებში აცხადებენ, რომ „ჰესბოლას“ პოსტებზე საპასუხო დარტყმებს ახორციელებენ.

შეგახსენებთ, მანამდე ცნობილი გახდა, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ შტულაზე ლიბანიდან თავდასხმა განხორციელდა, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი და დაშავდა სამი ადამიანი. ისრაელის თავდაცვის ძალების ცნობით, თავდასხმა ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტით განხორციელდა. ამასთან, ლიბანის ტერიტორიიდან ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტით კიდევ ერთი დარტყმა ჩრდილოეთ საზღვარზე, სამხედრო პოზიციას მიაყენეს.

ჩინეთის საგარეო მინისტრი: „ღაზაში ისრაელის ქმედებები თავდაცვის ფარგლებს სცდება“

ისრაელის ქმედებები ღაზაში თავდაცვის ფარგლებს სცდება და ისრაელის მთავრობამ უნდა შეწყვიტოს ღაზას ხალხის კოლექტიური დასჯა, – ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვანგ იმ განაცხადა.



მისი თქმით, მხარეები რაც შეიძლება მალე უნდა დაბრუნდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან.

– არც ერთმა მხარემ არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ სიტუაციის ესკალაცია გამოიწვიოს და რაც შეიძლება მალე უნდა დაბრუნდნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან, – აღნიშნა ჩინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა საუდის არაბეთის საგარეო მინისტრთან, პრინც ფაისალ ბინ ფარან ალ-საუდთან საუბრისას.

უმრავლესობა იმპიჩმენტის პროცედურისთვის ემზადება

მარიამ მჭედლიშვილი

დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტიტუცია, ამაზე გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლო დღეს, 16 ოქტომბერს გამოაქვეყნებს. თუ დარღვევა დადასტურდა, საკითხი პარლამენტში გადავა. იმპიჩმენტის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც დარწმუნებული არიან, რომ იმპიჩმენტის პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს. საკანონმდებლო ორგანოში იმპიჩმენტს 100 მომხრე ესაჭიროება.

ითვლება, რომ მმართველ გუნდს უმრავლესობის 89 ხმა განაღდებული აქვს. ბევრი დარწმუნებულია, რომ „ოცნება" კიდევ 11 დეპუტატსაც მიიმხრობს.

ყველაზე ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ „ოცნებას" კენჭისყრისას ნაციონალური მოძრაობის წევრები გაურიგდებიან. ნაცმოძრაობა, თავის მხრივ, ირწმუნება, რომ კენჭისყრის წინ სხდომათა დარბაზიდან გავა.

„სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერი გიორგი ვაშაძე საუბრობს უმრავლესობაში არსებულ განხეთქილებაზე. მისი თქმით, პრეზიდენტის იმპიჩმენტს უმრავლესობაშიც ჰყავს მოწინააღმდეგეები.

– დღევანდელ წევრებს, ვინც არიან უმრავლესობაში, აღარც აგენტი ფარცხალაძის მცველობა უნდათ და აღარც რუსული დავალებების შესრულება. დეპუტატები გააძევეს პარლამენტიდან, რუსულ კანონს რომ არ მისცენ ხმა, – აღნიშნა ვაშაძემ.

წინა დღეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ იმპიჩმენტის საკითხზე კენჭისყრა ღია ხდება. უმრავლესობამ ეს ინფორმაცია უარყო.

რეგლამენტში მართლაც იგეგმება ცვლილებების შეტანა, მათ შორის ისეთ საკითხზე, როგორიცაა პირების თანამდებობებზე არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი. ამაზე კენჭისყრა ხდება ღია. ფარულობა მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის არჩევისას შენარჩუნდება. ამ ცვლილებების მიღება ნოემბრის ბოლომდე ვერ მოხდება, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განხილვა კი ოქტომბერში უნდა დასრულდეს. ამდენად, იმპიჩმენტის საკითხზე კენჭისყრა არსებული წესით, ანუ ფარული პრინციპით გაიმართება.

• • •

„სასამართლო სისტემაში კლანების საკითხი კომისიამ უნდა გამოიძიოს"

კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" სასამართლო სისტემის ფუნდამენტური რეფორმირება მოითხოვა და ამაზე საკუთარი ხედვა წარმოადგინა.

კოალიციაში შედის საქართველოს იურისტთა ასოციაციაც. მისი თავმჯდომარის, ნონა ქურდოვანიძის თქმით, მართლმსაჯულების სისტემა ძირეული გამოწვევების წინაშეა.

– ის ფრაგმენტული რეფორმები, რომელიც სახელმწიფომ ამ დრომდე გაატარა, არ არის საკმარისი იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რაც სასამართლო სისტემაში გვხვდება. განსაკუთრებით, ეს ეხება კლანურ მმართველობას და გავლენიან ჯგუფებს, – აღნიშნა ქურდოვანიძემ.

კოალიციის დასკვნით, სასამართლოში არსებული კლანური და პოლიტიკური გავლენების მასშტაბი, ასევე კორუფციის დონე პარლამენტის დროებითმა კომისიამ უნდა გამოიძიოს.

კოალიციამ წარმოადგინა ხედვა მართლმსაჯულებაში სხვა რეფორმების თაობაზეც. ავტორების წინადადებით, უნდა გათავისუფლდნენ სანქცირებული მოსამართლეები.

საქართველოს სასამართლო რეფორმაზე დასკვნა გამოაქვეყნა ვენეციის კომისიამ.

ვენეციის კომისია მიესალმება ამ სფეროში მიღებულ ზოგიერთ შესწორებას. ამასთან, აღნიშნავს, რომ არ შესრულებულა ადრინდელი რეკომენდაციების ნაწილი. მათ შორის, არ გატარებულა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველი რეფორმა. გადასახედია მისი ფუნქციები, გადაწყვეტილებების მიღებისა და წევრების არჩევის წესები.

• • •

ხაბეიშვილი თანაგუნდელებთან ერთად კვიპროსში ჩავიდა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად კვიპროსში იმყოფებოდა. კვიპროსში ჩასვლის მიზანი დავით კეზერაშვილთან შეხვედრა იყო.

ამან დღის წესრიგში დააბრუნა ამ ოპოზიციურ პარტიაში არსებული არაფორმალური მმართველობის თემა. განახლდა კომენტარები იმაზე, რომ პარტიის ახლანდელი მენეჯმენტისა და პირადად ხაბეიშვილის უკან პარტიის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი დავით კეზერაშვილი დგას. საუბარია ასევე ვანო მერაბიშვილის არაფორმალურ გავლენებზე.

არაფორმალურ მმართველობაზე საუბრობენ ნაციონალური მოძრაობის წევრებიც. არაფორმალურ გავლენებს ეწინააღმდეგებიან პარტიის ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია და მისი თანამოაზრეები.

– სხვაგან დაწერილი გეგმის მონაწილეები ჩვენ ვერასოდეს ვიქნებით. შთაბეჭდილება მრჩება, რომ მათ იფიქრეს, ამ პროცესების შემდეგ ნიკა მელია და ჩვენ გავიდოდით პოლიტიკური თამაშის მიღმა, – ასე გამოეხმაურა თემას ნიკა მელიას თანამოაზრე ბაჩო დოლიძე.

მისი თქმით, მოწინააღმდეგეებმა „ვერ დაუშვეს ის, რომ ჩვენ წარმოვადგენთ გუნდს, რომელიც ყველაზე ახლოს არის ხალხთან".

კეზერაშვილს გასულ კვირაში სხვებიც აკრიტიკებდნენ.

– სირცხვილია, რომ ნაციონალური მოძრაობის ბოსი და დამფინანსებელი დავით კეზერაშვილია. მასთან ჩადიან, რათა მიიღონ ინსტრუქციები, რა როგორ გააკეთონ და როგორ იმოქმედონ, – აღნიშნა „ქართული ოცნების" წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა.

ქადაგიშვილმა კეზერაშვილის მიმართ არსებულ ბრალდებები გაიხსენა:

– ეს ადამიანი ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის გაქურდვაზეა გასამართლებული. იმედია მის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა ევროპაში, რადგან პენსიონერების (ევროპელი პენსიონერების) თანხებს იპარავს. ასეთია დღევანდელი ნაცმოძრაობის რეალური სახე.

– ქართული არმიის ქურდი და შემდგომ უკვე მთელი მსოფლიოს მოხუცთა მტარვალი და მძარცველი კეზერაშვილი კეთილშობილი მიზნებისთვის არ და ვერ იბრძვის, – ასეთი აზრი გამოთქვა პარტია „მოქალაქეების" თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ასეთი რეალობაა:

– მთავარი ოპოზიციური ძალა არის ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც გარეწარი კეზერაშვილი აფინანსებს. თუ ეს მოცემულობა არ შეიცვალა, „ქართული ოცნება" ვერასდროს დამარცხდება.

ვიცე-სპიკერმა არჩილ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ დავით კეზერაშვილი პირდაპირ ერევა საქართველოს პოლიტიკაში, რაც დაადასტურა ბი ბი სი-ს გამოძიებამ, ასევე, აშშ-ის მთავრობის მიერ გასაჯაროებული დოკუმენტებით.

– თვითონაც (კეზერაშვილმა) არაერთხელ აღიარა, რომ აფინანსებს პარტიებს, ტელევიზიებს და ეხმარება ცალკეულ პოლიტიკოსებს, რომლებიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩუმად არიან. დავით კეზერაშვილმა რადიკალურ ოპოზიციას გაუკეთა ორკესტრირება და შეცვალეს პოზიცია დეოლიგარქიზაციის კანონთან დაკავშირებით, – აღნიშნა თალაკვაძემ.

ხოშტარიამ და ჯაფარიძემ ახალი ინიციატივა წარმოადგინეს

ერთმანეთის მოკავშირე პარტიებმა – „გირჩი – მეტი თავისუფლებამ" და „დროამ" საზოგადოებას გააცნეს პროექტი „მონა ჯი".

პარტიების განმარტებით, „ინიციატივის მიზანია საქართველოში არსებული რუსული რეჟიმის მონურ მორჩილებასა და სამსახურში მყოფთა მხილება".

ვინ მოხვდება ამ „შავ" სიაში, ამას სპეციალური საბჭო გადაწყვეტს. საბჭოში მხოლოდ ამ ორი პარტიის წევრები არ შევლენ. საბჭო დაკომპლექტება პოლიტიკური ჯგუფების, სამოქალაქო სექტორის, მედიის წარმომადგენლებისაგან.

• • •

ოჩამჩირეში რუსული ბაზის შექმნის განზრახვა ნატოს საპარლამენტო ასამბლეამაც გააპროტესტა

როგორც ცნობილია, ოკუპანტი რუსეთი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, ოჩამჩირეში, თავისი სამხედრო საზღვაო ბაზის შექმნას აანონსებს. გასულ კვირას კრემლის ეს დანაშაულებრივი გეგმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეამაც გააპროტესტა.

მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილია რუსეთის „დეკლარირებული მისწრაფება ააშენოს სამხედრო ბაზა ოჩამჩირეში". ხაზგასმულია, რომ ეს არის რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორია და ნათქვამია, რომ ამ გეგმის განხორციელება გამოიწვევს დესტაბილიზაციის საფრთხეს შავი ზღვის რეგიონში.

ამ საკითხზე რეზოლუციის მიღებისკენ საქართველოს პარლამენტს მოუწოდეს დეპუტატებმა თეონა აქუბარდიამ და პარლამენტის წევრებმა პარტიიდან „საქართველოსთვის". მათ მიერ შემუშავებულ რეზოლუციის პროექტში, დაგმობის გარდა, არის მოწოდება საერთაშორისო თანამეგობრობისადმი, დაიკავოს ერთიანი პოზიცია რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის მიმართ.

„ქართული ოცნება" რეზოლუციის მიღებას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა და პარლამენტში საკითხი არც კი განხილულა.

რუსეთის განზრახვა, ოკუპირებულ აფხაზეთში სამხედრო საზღვაო ბაზის შექმნის თაობაზე, გააკრიტიკეს ოპოზიციურმა პარტიებმა, ასევე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ბერაიამ.

• • •

აშშ-ის ახალი ელჩი საქმიანობას შეუდგა

საქართველოში აშშ-ის ახალმა ელჩმა რობინ დანიგანმა რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოს პრეზიდენტს და საგარეო მინისტრს.

– ვიცი, რომ საქართველოს ხელისუფლებას და ხალხს სურს ინტეგრაციის გაღრმავება ევროკავშირთან, ნატოსთან და დასავლეთთან. პრეზიდენტ ბაიდენთან და მდივან ბლინკენთან ერთად მეც ვუჭერ მხარს ამ გზას, – აღნიშნა ახალმა ელჩმა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ „ქართული ოცნების" დამოკიდებულება ახალი ელჩის მიმართ დაახლოებით ისეთივე იქნება, როგორიც კელი დეგნანის მიმართ იყო. გამოითქვა მოსაზრება, რომ ახალი ელჩის მიმართ მოსალოდნელია ოდნავ მეტი კორექტულობა.

როგორც ცნობილია, კელი დეგნანი ბოლო დროს ხშირად ხდებოდა იერიშების ობიექტი. მმართველ პარტიასთან დაახლოებული „ხალხის ძალის" აქტივობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კელი დეგნანზე თავდასხმები გახდა.

სამართალი

პროკურატურამ „თიბისი ბანკის" კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

საქართველოს პროკურატურამ „თიბისი ბანკის" კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულის კუთვნილ საწარმოს, სარგებლობაში მიღებული ჰქონდა პოს-ტერმინალი, რომელიც ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, კომპანიის წარმომადგენელს ანიჭებდა შესაძლებლობას, რეალურად გაწეული მომსახურების ღირებულება მისივე კლიენტის საბანკო პლასტიკური ბარათიდან ჩამოეჭრა.

ბრალდებულმა და მისმა თანამზრახველებმა „თიბისი ბანკის" კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დასაუფლებლად, თითქოსდა საწარმოს კლიენტებისთვის გაწეული მომსახურების საფასურის ჩამოჭრის მიზნით, უკანონოდ მოპოვებული უცხოური საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული პლასტიკური ბარათების მონაცემები შეიყვანეს ბრალდებულის კუთვნილი საწარმოს პოს-ტერმინალში, რის შედეგადაც „თიბისი ბანკს" მიმდინარე ბალანსიდან ჩამოაჭრეს 90 660 ლარი, მიღებულ თანხას კი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ.

ვინაიდან კომპანიის მხრიდან მომსახურების გაწევას ადგილი არ ჰქონია და ბარათის მფლობელთა ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ტრანზაქციები გასაჩივრდა საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის მეშვეობით, ბანკისთვის მიმდინარე ბალანსიდან უკანონოდ ჩამოჭრილი თანხების ანაზღაურება პლასტიკური ბარათების გამცემი უცხოური საბანკო დაწესებულებების მიერ აღარ განხორციელდა, რითაც „თიბისი ბანკს" დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიადგა.

დაკავებულს ბრალდება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით.

მებაჟე ოფიცრების მიერ დიდი ოდენობით არადეკლარირებული საქონლის შემოტანის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა



საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი", ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟეოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული სატრანსპორტო საშუალების დეტალური დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით, სხვადასხვა დასახელების არადეკლარირებული საქონლის შემოტანის მცდელობის ფაქტი აღკვეთეს.

ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ საბოლოოდ, 18.648 ლარი შეადგინა.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გადაეცა.

მარნეულში ვის ეძებს პოლიცია 38 წლის კაცის მკვლელობისთვის

სისხლიანი გარჩევა მეჩეთთან. პოლიცია ამ დრომდე 38 წლის კაცის მკვლელობაში ეჭვმიტანილს ეძებს. 40 წლამდე მამაკაცი გაქცეულია. რა მოხდა მარნეულის ცენტრში? არსებული ცნობებით, გვიან ღამით სავარაუდო მკვლელი რასიმ კარაჰმაზლის ჩაუსაფრდა, თავში ოთხი ტყვია ესროლა, შემდეგ კი გაიქცა. სროლამდე ადგილობრივებს ჩხუბის და შელაპარაკების ხმები ესმოდათ. ირკვევა რომ მოკლული რასიმ კარაჰმაზლი მეჩეთთან მუშაობდა კარ-ფანჯრის საწარმოში.

რა მოტივი უდევს საფუძვლად სისხლიან დაპირისპირებას? – ახლობლები და ადგილობრივები ვერ პოულობენ მიზეზს თუ რატომ უნდა მოეკლათ 38 წლის კაცი, რადგან, მათი თქმით, რასიმ კარაჰმაზლი უკონფლიქტო ადამიანი იყო.

– ერთადერთი, რაც გავიგეთ, გასროლის ხმა იყო. რამდენჯერმე გაისროლეს. ნამდვილად არ ვიცით, რა მიზეზით მოხდა მკვლელობა. არაჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო. – ამბობენ ადგილობრივები.

მოკლულის ცხედარი ამ დრომდე ექსპერტიზაზეა. საქმეზე გამოძიება სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

რა იყო გამოსახული ქართველ მეფეთა გერბებზე?!

ბაგრატიონების გერბები სხვა მეფეთა და დიდებულთა გერბებისგან იმით გამოირჩეოდა, რომ მათზე მსოფლიოში უნიკალური მოვლენა — ქრისტეს კვართი იყო გამოსახული.

გერბის სამი სახეობა არსებობს: საგვარეულო, ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი, ანუ მმართველი დინასტიის გერბი. ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკა იმდენად ხანდაზმულია, რომ მისი დაკავშირება დასავლეთ ევროპისა და რუსულ ჰერალდიკასთან გაუმართლებელია. ჩვენი ჰერალდიკური სიმბოლოების ფესვები ტოტემური აზროვნების წიაღშია საძიებელი. საერთოდ, სიმბოლური ნიშნები გამოიხახებოდა ბეჭდებზე, მონეტებზე, დროშებსა და იარაღზე. ქართულ ტოტემურ სიმბოლოთაგან განსაკუთრებული სიძველით გველის გამოსახულება გამოირჩეოდა. ასევე ხანდაზმულია ფასკუნჯის, ლომის, არწივის, ხარის, ცხენის გამოსახულებები. ლომი ძლიერებისა და ღვთაებრივი ძალისადმი თაყვანისცემის სიმბოლო იყო, რომელიც ხშირად უკავშირდებოდა ამავე დატვირთვის მქონე სხვა სიმბოლოს – არწივს.

საქართველოში მრავლად შემორჩა სხვადასხვა ემბლემის შემცველი საბეჭდავები. მათ შორის საინტერესოა თამარის მამის – გიორგი III-ის სახელმწიფო ოქროს ბეჭედი, რომლის ემბლემა წმინდა გიორგის გამოსახულებას შეიცავს, მარცხენა ხელში შუბით, მარჯვენა ხელით ფარზე დაყრდნობილი, რაც შებრუნებულია. ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი საბეჭდავად გამოიყენებოდა.

შუა საუკუნეებში, როცა გამუდმებული ბრძოლები წარმოებდა, მეომრები საკუთარ ტანისამოსსა და იარაღზე, ძველი სამყაროს ლეგენდარულ რაინდთა მსგავსად, სიმბოლურ ნიშნებს გამოხატავდნენ. ასევე იქცეოდნენ ჯვაროსნები. მე-11-13 საუკუნეებში, როცა ჯვაროსნები ქრისტეს საფლავის მუსლიმანებისგან გასათავისუფლებად მიემგზავრებოდნენ, თავის ტანსაცმელსა და იარაღზე სიმბოლურ ნიშნებს ატარებდნენ. ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ რაინდების ნიშნები სამუდამო მემკვიდრეობით მათ შთამომავლებზე გადადიოდა. დროთა მანძილზე ისინი სიმბოლურ გამოსახულებებად გადაიქცნენ და ფეოდალური საგვარეულოების ჰერალდიკურ ნიშნებად ჩამოყალიბდნენ. დამკვიდრდა მათი შედგენის წესებიც, გერმანიაში ამას ჰეროლდებს („ჰეერ-ალტ“) უწოდებდნენ, ანუ ამ სიმბოლოებს ვეტერანები ადგენდნენ. აქედან მოდის ტერმინი ჰერალდიკა, ანუ გერბების შემსწავლელი მეცნიერება. სახელწოდება „ჰერბი“ წარმოშობით პოლონურია, რომელიც უნდა მომდინარეობდეს გერმანული „ერბე“-დან, რაც მემკვიდრეობას ნიშნავს, თუმცა, ქართული სიმბოლოები ჯვაროსნებზე გაცილებით ადრეულ ხანაშია საძიებელი.

❖ ❖ ❖

რუსულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში გამორიცხავდნენ საქართველოში ძველი ჰერალდიკური სიმბოლიკის არსებობას, თვლიდნენ, რომ ქართული ჰერალდიკის ისტორია მე-18-19 საუკუნიდან იწყება. სინამდვილეში, ქართული ჰერალდიკა უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ არა იმ სპეციფიკური ფორმით, რაც დასავლეთ ევროპასა და რუსეთში გვხვდებოდა. რუსულ ისტორიოგრაფიაში მიიჩნევდნენ, რომ პირველი ქართული საგვარეულო გერბი მხოლოდ მე-18 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, როცა ქართლის მეფე ვახტანგ მე-6 1724 წელს რუსეთში გადასახლდა და იქ გაეცნო ჰერალდიკას. ირწმუნებიან, თითქოს ვახტანგმა და მისი ამალის წევრებმა პირველი ქართული საგვარეულო გერბები შექმნეს. ამ დროს კი პირველი ქართული საგვარეულო გერბი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას უკავშირდება. იგი შემორჩენილია კახეთის მეფე ლევან I-ის (1518-1574) მეუღლის, დედოფალ თინათინის საფლავის ქვაზე.

გერბის ფარში გამოსახულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უდიდესი სიწმინდე – ქრისტეს კვართი, რომელიც ჯერ კიდევ პირველი საუკუნიდან საქართველოში ინახება. გერბზე გამოსახულია ორი ლომი, რომელთაც ფარი უპყრიათ, ფარის თავზე კი გადაჯვარედინებული სკიპტრა და მახვილია, როგორც სამეფო ხელისუფლებისა და ქართველი მეფეების სამხედრო ძლიერების სიმბოლო. მარჯვნივ დავით მეფსალმუნეს ქნარია, მარცხნივ – მისი შურდული. ეს ფიგურები სიმბოლურად გამოხატავენ ლეგენდას, რომლის მიხედვით, ბაგრატიონების ქართული სამეფო დინასტიის წარმომავლობა გოლიათის მძლეველ ბიბლიურ მეფე დავითს უკავშირდებოდა. ფარის ქვემოთ გამოსახულია სასწორი – სოლომონ მეფის მართლმსაჯულების სიმბოლო. ფარს თავზე გვირგვინი ადგას, რომელიც ევროპულ სამეფო გვირგვინებს წააგავს.

მეოთხე საუკუნეში სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის შემდეგ კვართი ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

მე-15 საუკუნის დასასრულს ერთიანი საქართველოს მონარქია ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად დაიყო. საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოებად დაიყო. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში არსებული ქრისტეს კვართი ქართლის მეფეების მფლობელობაში შევიდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ იმერეთის მეფეებმა თავიანთ გერბში კვართი აღარ შეიტანეს.

ორივე გერბის გარეგნული განსხვავების მიუხედავად, ფიგურები და ემბლემები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონებთან ერთმანეთს ემთხვევა. გამონაკლისია კვართის არარსებობა იმერთა მეფეების გერბებზე. ესეც ადასტურებს, რომ ბაგრატიონთა დინასტიის საგვარეულო სიმბოლიკა ჯერ კიდევ საქართველოს დაყოფამდე, მე-15 საუკუნემდეა წარმოშობილი. შესაძლოა, ეს სიმბოლოები – ქრისტეს კვართი, ლირა, შურდული, სკიპტრა, ხმალი, კვერთხი გაცილებით ადრე გამოიყენებოდა ბაგრატიონთა ბეჭდებზე, დროშებზე.

❖ ❖ ❖

ჩვენამდე მოღწეულ საგვარეულო გერბებს შორის აღსანიშნავია ქართლის მეფე ვახტანგ მე-6-ის გერბი: ქართული ორნამენტით გარემოცულ კვადრატულ ფარში ოთხ ფრთოსან ანგელოზს სახელურებით უპყრია მცირე ბიზანტიური ფარი, რომლის ცენტრში ქრისტეს კვართია. კვართის მარჯვნივ დავით წინასწარმეტყველის ქნარია, ხოლო მარცხნივ – შურდული, დაბოლოებაში კი სიასამურის ბეწვია მომცრო ჯვრით. მრგვალი ფარის ქვევით ლომი ან ლეოპარდია გამოსახული.

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილ კავკასიის რუკას დართული აქვს მასზე აღბეჭდილი ქვეყნებისა და მხარეების გერბები. მათ შორისაა ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი მწვანე ფონზე ორი ვარდისფერი ლომის გამოსახულებით, რომელთაც მართკუთხა გადაკვეთილი ფარი უჭირავთ. ზემო თეთრ ნახევარში მაცხოვრის ყვითელი კვართია მოთავსებული. ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებასთან ერთად ერეკლე II-მ გერბმცოდნეობაც მოაწესრიგა.

გეორგიევსკის ტრაქტატზე საქართველოს სამეფოს პირველი ოფიციალურად დამტკიცებული სახელმწიფო გერბია, რომელიც გამოსახულია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაციის სიგელზე დართულ საკიდ ბეჭედზე.

გერბზე ფარის თავზე გამოსახულია რუსეთის იმპერიის ორთავიანი არწივი. ეს ერეკლე მეფემ მხოლოდ იმიტომ გადაიტანა, რომ ეჩვენებინა დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოს მიმართ. ბაგრატიონთა სამეფო გერბზე არწივის ამგვარ გამოსახულებას მხოლოდ გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტის ბეჭედზე ვხვდებით და იგი ბაგრატიონთა გერბის შემადგენელი ემბლემა არ ყოფილა. მით უფრო, შემდგომმა მეფეებმა – გიორგი მე-12-მ და დავით მე-12-მ (სამეფოს მმართველმა) ორთავიანი არწივი საკუთარ გერბებზე აღარ გამოსახეს.

ქართლ-კახეთის სამეფოს დიდ სახელმწიფო ბეჭედზე ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის გარშემო, იმდროინდელ ევროპის სახელმწიფოებში მიღებული წესისამებრ, ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სხვადასხვა ტერიტორიული გერბებიცაა წარმოდგენილი.

❖ ❖ ❖

მე-16 საუკუნეში ქართლის ბაგრატიონთა სამეფო სახლს მუხრანბატონთა შტო გამოეყო, რომლებიც 1512-დან 1801 წლამდე ფლობდნენ მუხრანის სამფლობელოს. ყველაზე ადრინდელი გერბი ეკუთვნის ქართლის მეფის იესეს (ბაგრატიონთა მუხრანის შტოს წარმომადგენლები) შთამომავლებს, რომლებიც 1757 წელს გადასახლდნენ რუსეთში. გერბზე გამოსახულია ოთხ ნაწილად გაყოფილი ფარი, რომელთაგან პირველ წითელ მინდორზე გამოსახულია ოქროს კვერთხი, მეორე – ლურჯ მინდორზე – ქნარი, მესამე, იმავე ლურჯ მინდორზე გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი. ფარი უპყრია ორ ლომს. მხოლოდ თავად ბაგრატიონ-მუხრანელებს აქვთ შემონახული თავიანთ გერბში ქრისტეს კვართის სიმბოლიკა. ეს იმითაც აიხსნება, რომ მე-16-20 საუკუნეებში თავადი ბაგრატიონ-მუხრანელები იკრძალებოდნენ სვეტიცხოვლის საკათედრო ტრაძარში, სადაც ქრისტეს კვართი ინახება. მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის მეფეებისა და უფლისწულების გერბებშიც ჩნდება ქრისტეს კვართი.

მედიცინა

მიიღეთ ნიორი თაფლთან ერთად და ივარჯიშეთ დილაობით

ზამთარის სეზონს ტრადიციულად მოსდევს ცხელება, გაჭედილი ცხვირი, ცემინება, ყელის სიმშრალე და ტკივილი, ხველა და დისკომფორტი გულმკერდის არეში. მოკლედ, ყველა ის სიმპტომი, რაც გრიპს ახასიათებს. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინოფრმაციით, გრიპის სეზონი ნოემბრის მეორე ნახევრიდან იწყება. თუ ამინდმა „დაგვზოგა“, შესაძლოა, სეზონმა დეკემბრისკენ გადაიწიოს. თუმცა, გრიპთან ბრძოლის მამაბაპური მეთოდების გამომყენებელთათვის გრიპის სეზონი შესაძლოა, არც დაიწყოს.

ალბათ, არ არსებობს ოჯახი, ზამთრის სეზონზე გარკვეული თანხა არ გაეღოს ფართოდ რეკლამირებადი პრეპარატების შესაძენად, რომლებმაც თითქოსდა უნდა განკურნონ, ან მნიშვნელოვნად შეამსუბუქონ გრიპით დაავადებულის მდგომარეობა. პაციენტთა იმედები კი ხშირ შემთხვევაში არ მართლდება.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, გრიპთან ბრძოლის საუკეთესო გზა მისი პროფილაქტიკაა. საჭიროა, მოერიდოთ დაავადებულთან კონტაქტს, ხშირად დაიბანოთ ხელები, თავი დაანებოთ თამბაქოს წევას, რადგან მწეველებში დაქვეითებულია ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი ვირუსების მიმართ და თუ სახლში უკვე გყავთ დაავადებული, გამოიყენოთ პირბადე და ხშირად გაანიავოთ ბინა. რადგან გრიპით გადაცემის მექანიზმი ჰაერ-წვეთოვანია, მის მასობრივ და სწრაფად გავრცელებაში განსაკუთრებულ როლს სწორედ ეს ფაქტორი თამაშობს. ასე რომ, იგი დღემდე ყველაზე მასობრივ ინფექციურ დაავადებად რჩება, რომელიც არ ცნობს საზღვრებს და ხანმოკლე დროში მრავალრიცხოვან მოსახლეობას აზიანებს.

გრიპის სწრაფად გავრელებას ხელს უწყობს ასევე გრიპის მიმართ მოსახლეობის უმრავლესობის მაღალი მიმღებლობა; დაავადების ხანმოკლე ინკუბაციის პერიოდი – დაახლოებით 24-36 საათი; მსუბუქი, წაშლილი და უსიმპტომო კლინიკური ფორმების მაღალი სიხშირე, რომლებიც ადვილად ავრცელებენ ინფექციას.

ეს დაავადება განსაკუთრებთი საშიშია წლამდე ასაკის აბავშვებისთვის, ვინაიდან მათი იმუნიტეტი ამ დროს განსაზღვრულია მხოლოდ დედისგან მოცემული ანტისხეულებით. გრიპი ასევე საშიშია მოხუცებისა და იმუნოლოგიური პრობლემების მქონე პირებისთვის, ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილთათვის.

გრიპს სამი ტიპის ვირუსი – A, B, C – იწვევს, რომლებიც ეპიდემიოლოგიური თავისებურებებითა და ანტიგენური სტრუქტურით განსხვავდებიან. თითოეული მათგანი ქვეტიპებად იყოფა. ინკუბაციური პერიოდიA ტიპის ვირუსის დროს 1-2 დღეა, ზოგჯერ – რამდენიმე საათი; B გრიპის დროს კი – 3-4 დღე.

კლასიკურად დაავადება იწყება მწვავედ, უეცრად, ტემპერატურის მომატებით, შემცივნებით, ხახის შეწითლებით, სისუსტით, დამტვრეულობის შეგრძნებით, კუნთების ტკივილით, ეპიდაფეთქებებისას აღინიშნება ბავშვებსა და მოზრდილებში ნაწლავთა მოქმედების ზომიერი გახშირებაც. დაავადება მძაფრდება 1-2 დღის განმავლობაში და გრძელდება 2-5 დღის მანძილზე.

ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია საჭიროა მხოლოდ გრიპის მძიმე მიმდინარეობის დროს გართულებების გამოვლენისას. საჭიროა ოთახის განიავება, ასაკის შესაბამისი კალორიული კვება – რძე, რძის პროდუქტები; ბოსტნეული, ხილის წვენები, უხვად სითხეები, მინერალური წყლები, კომპოტები, ასკილის ნაყენი. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, სასურველია, ავადმყოფი ღებულობდეს ასკორბინის მჟავასა და ბე ჯგუფის ვიტამინებს.

ანტიბიოტიკების გამოყენება გაურთულებელი გრიპის სამკურნალოდ არა მარტო არაეფექტურია, არამედ საზიანოც არის იმ თვალსაზრისით, რომ მათი დანიშნულების გარეშე გამოყენება იწვევს შემდგომში მათი ანტიბაქტერიული თვისებების დაქვეითებას.

რაც შეეხება გრიპის მკურნალობის არატრადიციულ მეთოდებს, მედიკოსები კარგა ხანია, შეთანხმდნენ იმაზე, რომ ბულიონი, ჩაი, ვიტამინები და მცენარეული წამლები ეფექტურია, არ აქვს გვერდითი მოვლენები და ზოგავს თქვენს ბიუჯეტს. გრიპის პირველი ნიშნების შემჩნევისთანავე რეკომენდებულია ევკალიპტის, ლავანდის ან როზმარინის ზეთის რამდენიმე წვეთით ინჰალაცია.

ქათმის ბულიონის ეფექტურობა გრიპის დროს აიხსნება მისი ორთქლის მოქმედებით. ქათმის ბულიონის მიღება ხსნის ცხვირში გაჭედილობის შეგრძნებას ჩვეულებრივ თბილ წყალზე უკეთესად.

ნიორი საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა გაციების სამკურნალოდ. გამოკვლევებმა დაადასტურა მისი ანტიბაქტერიული და სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება. ამ „ნატურალური ანტიბიოტიკის“ მოყვარულები გრიპით მოავადეებს ურჩევენ, იგი თერმული დამუშავების გარეშე მიღონ. ვინც მის არასასიამოვნო სუნს გაურბის, შეუძლია თაფლთან ან ვაშლთან ერთად მიირთვას.

სხვადასხვა მცენარეული ჩაის ძირითადი ეფექტია დამაამებელი მოქმედება ყელის ტკივილისას. შესაძლოა, გამოიყენოთ ალუბლის, პიტნის, ქონდარის, გვირილას, კოჭას ჩაი. მენთოლი, რომელსაც პიტნა, გვირილა და კოჭა შეიცავს, გვეხმარება ცხვირსა და გულმკერდის არეში გაჭედილობის შეგრძნების შესამსუბუქებლად.

ცე ვიტამინი, ასკორბინის მჟავა, აძლიერებს იმუნიტეტს, ამსუბუქებს სიმპტომებს და ამცირებს დაავადების ხანგრძლივობას. რეკომენდებულია დღიურად 1.000 მილიგრამის მიღება. გადაჭარბებული დოზები სახიფათოა, ამან შეიძლება კუჭ-ნაწლავის მოქმედების დარღვევა გამოიწვიოს.

გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ეფექტურ პროფილაქტიკურ ღონისძიებას წარმოადგენს. ამ ვაქცინაციას საყოველთაო ხასიათი არ აქვს, მაგრამ გამოკვეთილია ადამიანთა რისკის ჯგუფი, სადაც ვაქცინის შეყვანა სასურველი ხდება: იგი რეკომენდებულია ასთმითა და ფილტვის ქრონიკული დაავადებებით მოავადეთათვის; გულის ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში; აივ-ინფექციის შემთხვევაში; შაქრიანი დიაბეტიანთათვის, თირკმლის ქრონიკული დაავადებებისთვის, მცირე ასაკის ბავშვებისთვის, ხანში შესულთათვის. სასურველია, ვაქცინაცია იწყებოდეს შემოდგომაზე და მოსალოდნელი აფეთქების წინ.

ინფექციურ სნეულებათა და, მათ შორის, მწვავე რესპირატორული ინფექციების მიმართ წინააღმდეგობის გაზრდას ხელს უწყობს ორგანიზმის გამოწრთობა, აქტიური ცხოვრების რეჟიმი. ასე რომ, არ უნდა დაგავიწყდეთ დილის გამამხნევებელი ვარჯიში და წყლის პროცედურები, თავისუფალი დროის სუფთა ჰაერზე გატარება, რაც ორგანიზმში კეთილისმყოფელ იმუნურ ცვლილებებს იწვევს.

ნოდარ დუმბაძის 90 წლის იუბილე საბერძნეთში აღინიშნება

მწერლისა და პოეტის ნოდარ დუმბაძის 95 წლის იუბილე საბერძნეთში ორდღიანი ღონისძიებებით აღინიშნება.

საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და ათენის ქართული დიასპორული ორგანიზაციების მონაწილეობით, 21 და 22 ოქტომბერს გაიმართება „საქართველოს დღეები ათენში“.

ღონისძიების ფარგლებში, 21 ოქტომბერს მოსხატოს კულტურის ცენტრში წარმოდგენილი იქნება ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრის სპექტაკლი „მზიანი გული“.

პროექტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ინიციატივით განხორციელდება.

ღონისძიებებზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბობოქარი ღამე ავდეევკაში

ავდეევკა პატარა ქალაქია. ის დონეცკიდან სულ 16 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. მიუხედავად ამისა, რუსი ოკუპანტები მის აღებას ჯიუტად ცდილობენ.

უკრაინის სამხედრო დაზვერვას კარგა ხანია ჰქონდა ინფორმაცია, რომ ავდეევკაზე ოკუპანტები მასობრივ შეტევას გეგმავდნენ. ამას მიუთითებდა ავდეევკასთან ცოცხალი ძალის, აგრეთვე არტილერიის კონცენტრაციაც. აღსანიშნავია, რომ ოკუპანტებმა არტილერია ავდეევკასთან ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქებიდან გადაისროლეს.

უკვე მეოთხე დღეა, რაც ავდეევკასთან გააფთრებული ბრძოლებია. გასული ღამე განსაკუთრებით მძიმე იყო. რუსებმა ტაქტიკა შეცვალეს. თუ მანამდე რუსები დიდი კოლონებით (ტანკები, საბრძოლო ბრონირებული მანქანები) უტევდნენ, ახლა ეს შეიცვალა. ოკუპანტებმა ავდეევკის მიმართულებით მასობრივი ცეცხლი გახსნეს. დაიბომბა როგორც ავდეევკა, ისე მახლობელი სოფლები.

უკრაინა მოვლენების ამდაგვარი სცენარით განვითარებისათვის მზად იყო. რუსების ცეცხლს უკრაინელებმა სასტიკი ცეცხლით უპასუხეს. ორმხრივი ცეცხლი იმდენად მძაფრი იყო, რომ ავდეევკაში პროდუქტების ან ჰუმანიტარული დახმარების შეტანა შეუძლებელი გახდა.

მართლაც, ავდეევკაში არის ყველაფერი: სურსათი, სამედიცინო პრეპარატები, ჰუმანიტარული დახმარებით სავსე ტვირთი. ამას გარდა, ოკუპანტებმა ქალაქისათვის ალყის შემორტყმა ვერ შეძლეს. ავდეევკამ მტრის ჭარბი ძალები მიიზიდა. შედეგად ფრონტის სხვა უბნებზე (ზაპოროჟიე, ხერსონი) შედარებითი სიმშვიდე იყო. აქ უკრაინელებმა ადვილად წაიწიეს წინ და პოზიციებიც გაიუმჯობესეს.

ციფრობრივად ომის დაწყებიდან დღემდე, ოკუპანტების დანაკარგები შემდეგია: ტანკები – 4.931, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 9.313, არტილერია – 6.807, თვითმფრინავები – 316. განადგურებულია 287.770 ოკუპანტი.

ბაიდენი ჰამასის მიერ დატყვევებულ ამერიკელებს გამოიხსნის



პრეზიდენტი ბაიდენი ჰამასის მიერ დატყვევებულ ამერიკელებს შეხვდა. მან განაცხადა, რომ ჰამასის მიერ დატყვევებულ აშშ-ის მოქალაქეების გასათავისუფლებლად ყველაფერს გააკეთებს.

ისრაელმა თავისი ულტიმატუმის ვადა გაახანგრძლივა.

რუსეთი ჰამასს ეხმარება

უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფმა, გენერალმა ბუდანოვმა განაცხადა, რომ გააჩნია კონკრეტული ფაქტები ჰამასისა და რუსეთის კონტრაქტების შესახებ. კერძოდ, რუსეთი ჰამასს იარაღით ამარაგებს. საუბარია რაკეტებზე, ჰაუბიცებზე და ა.შ.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფის სიტყვები რუსეთის წარმომადგენელმა ნებეზდნიამაც დაადასტურა პირდაპირ ეთერში. მან მსოფლიოს მოუწოდა, რომ დაგმონ ისრაელი და ნაკლები ილაპარაკონ ჰამასზე.

რუსეთ-უკრაინის ფრონტის ყველაზე ცხელი წერტილები ავდეევკა, მარინკა, კუპიანსკი და ლიმანია

ავდეევკასთან უკრაინელებმა მტრის შეტევები მოიგერიეს. გააფთრებული შეტაკებებია კუპიანსკთან. რუსები ცდილობენ შეაღწიონ ნებისმიერ ხვრელში. მიუხედავად ამისა, ოკუპანტებმა ვერც ამჯერად წაიწიეს წინ.

რუსებმა ვერც ლიმანის ან სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით მიაღწიეს რაიმეს. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ოკუპანტებმა ერთი კილომეტრითაც ვერ წაიწიეს წინ.

კუპიანსკ-ლიმანის მიმართულებით მასობრივმა შეტევამ დიდი ძალები მოითხოვა. რუსეთს ფრონტის სხვა უბნებზე ბრძოლა გაუჭირდა. ეს შექმნილ მდგომარეობაზე უმალ აისახა.

ბახმუტთან უკრაინული არმია სოფლებს იკავებს. უკრაინელებმა თავიანთი მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუმჯობესეს.

რაც შეეხება ზაპოროჟიეს ოლქს, აქ უკრაინელები წინ მიიწევენ. მათ კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მელიტოპოლის გათავისუფლების პერსპექტივაც სულ უფრო რეალური ხდება. უკრაინელთა წინსვლა გრძელდება ხერსონის ოლქშიც. პასუხად რუსებმა ხერსონის დაბომბვა გააძლიერეს. შედეგად დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

არბალეტის მსროლელს დედოფალზე თავდასხმისთვის ციხეში გაუშვებენ

ფილმის „ვარსკვლავური ომების“ ფანს, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედოფალზე თავდასხმას ამზადებდა, ციხეში ჩასვამენ.

ინდური წარმომავლობის 21 წლის ბრიტანელ ჯასვანტ სინგხ ჩეილს, რომელმაც 2021 წლის დეკემბერში დედოფლის რეზიდენციაში არბალეტით შეაღწია, სახელმწიფო ღალატის კანონის დარღვევის, მკვლელობის მუქარის და იარაღის უკანონოდ ფლობის ბრალდება წაუყენეს. მას ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ამასთან პატიმრობის ნაწილს ის ფსიქიატრის ზედამხედველობის ქვეშ გაატარებს.

ჩაილი დედოფალ ელისაბედ II-ის რეზიდენციაში იმ დროს დაიკავეს, როდესაც თავად დედოფალი და სამეფო ოჯახის დანარჩენი წევრები შობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ. დაკავების დროს მას თან ჰქონდა დამცველიდან მოხსნილი და დატენილი არბალეტი. ის რეზიდენციის ღობეზე თოკის კიბის გამოყენებით გადაძვრა და ბაღში რამდენიმე საათის განმავლობაში იმალებოდა, სანამ მას დაცვით თანამშრომლები დაიკავებდნენ.

მამაკაცი ჯორჯ ლუკასის საგას „ვარსკვლავური ომების“ ფანი იყო და იმაზე ფიქრი ამოძრავებდა, რომ უნდა განადგურებულიყო ძველი ბრიტანეთის იმპერია და მის ადგილზე ახალი შექმნილიყო. ამის წინაპირობად კი მას მონარქის ან მისი მემკვიდრის მოკვლა მიაჩნდა. ჩაილის საკუთარ დღიურში ეწერა, რომ თუ დედოფალი „მიუწვდომელი“ აღმოჩნდებოდა, მაშინ მისაღები სამიზნე იქნებოდა მემკვიდრე პრინცი, ვინაიდან ის მამაკაცი და ამასთან დედოფალზე ახალგაზრდა იყო.

დიდი მკერდის გამო მოდელი კინაღამ ავარიის მიზეზი გახდა

უზარმაზარმკერდიანი მოდელი ავტოავარიაში მოყოლას გადაურჩა.

28 წლის მოდელმა ანასტასია ბერტიემ ისაუბრა იმ სირთულეებზე ცხოვრებაში, რასაც მას უზარმაზარი მკერდი უქმნის. ის ამტკიცებს, რომ არ გაუკეთებია ოპერაციები მკერდის გასადიდებლად. ადრე ის თავს მეტად უხერხულად გრძნობდა. განსაკუთრებით სკოლის პერიოდში. მას სკოლაშიც და სოციალურ ქსელებშიც დასცინოდნენ. თუმცა, 2018 წლიდან სამოდელო ბიზნესში ჩაერთო და ახლა მისი გამომუშავება საკმაოდ სოლიდურია.

მიუხედავად ყველა პლუსებისა და მისი ამჟამინდელი მდგომარეობისა, გოგონა დროდადრო უხერხულ ვითარებაში აღმოჩნდება ხოლმე. მისი აღიარებით, ხშირად მკერდით რაიმეს წამოედება ხოლმე, ნივთები ძირს უვარდება და ადამიანებსა და საგნებს ეჯახება. მას ხშირად უწევს კონსულტანტის დახმარება ტანსაცმელის მოსარგებად, ზოგჯერ კი კაბები მოსინჯვის დროს ტანზე პირდაპირ მაღაზიაშივე ასკდება.

გოგონას თქმით, ყველაზე სასაცილო შემთხვევა ცხენით სეირნობის დროს შეემთხვა. იმ დღეს ბერტიე ტოპში იყო გამოწყობილი. ყველაფერი კარგად მიდიოდა მანამდე, სანამ ცხენი ჭენებაზე არ გადავიდა. აქტიური მოძრაობის შედეგად გოგონას მკერდი ტოპიდან ამოხტა, მას კი ამის გამოსწორება არ შეეძლო, ვინაიდან ცხენის სადავეები ეჭირა და მის გაჩერებას ცდილობდა. ამ დროს გზაზე ჩაიარა მანქანამ და მის საჭესთან მჯდომი მამაკაცი ისე გაიტაცა ამ სანახაობამ, რომ გზას აღარ უყურებდა და კინაღამ ავარია შეემთხვა.

ამ დროისთვის ბერტიეს სოციალურ ქსელებში 1,7 მილიონამდე ხელმომწერი ჰყავს. მას რეგულარულად იწვევენ გადაღებებზე და სარეკლამო კონტრაქტებს სთავაზობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ახალგაზრდული ნაკრები შვედეთს ცვლილებებით ხვდება

17 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, ბათუმის „აჭარაბეთ არენაზე“, შვედეთთან გასამართი მატჩისთვის მზადებას განაგრძობს.

21 წლამდე ნაკრები შვედეთთან მატჩს შემადგენლობაში ცვლილებებით ხვდება – ნიდერლანდებთან შეხვედრაში მიღებული ტრავმის შემდეგ, თბილისის დინამოს ფორვარდი ჯადული იობაშვილი სკანდინავიელებთან საკუთარ გუნდს ვეღარ დაეხმარება.

იობაშვილის დანაკლისს, რუმინული პეტროლულის შემტევი, გიორგი აბუაშვილი შეავსებს. ასევე, ახალგაზრდულ ნაკრებს შვედეთთან მატჩში ეროვნულ გუნდში გამოძახებული გაბრიელ სიგუა დაეხმარება, რომელიც 21-წლამდელთა ნაკრების შეკრებას გუშინ შეუერთდა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: ლევან თანდილაშვილი (ლოკომოტივი), ლუკა ხარატიშვილი (სამტრედია), მიხეილ მაქაცარია (დინამო თბ);

მცველები: გიორგი მაისურაძე, საბა ხვადაგიანი, ლუკა ლაცაბიძე (ყველა დინამო თბ), საბა გოგლიჩიძე (ტორპედო), მუხრან ბაგრატიონი (დინამო ბთ), საბა მამაცაშვილი (გაგრა), ზურაბ რუხაძე (მეტა, ლატვია), თორნიკე მორჩილაძე (თელავი);

ნახევარმცველები: ლაშა ოდიშარია, ლევან ოსიყმაშვილი (ორივე დინამო თბ), ოთარ მამაგეიშვილი, გიზი მამაგეიშვილი (ორივე საბურთალო), ნოდარ ლომინაძე (სამგურალი), ირაკლი ეგოიანი (ტვენტე, ნიდერლანდები), დემეტრე გვასალია (კოლხეთი ფ), შალვა ოგბაიძე (დენ ბოსხი, ნიდერლანდები), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), გაბრიელ სიგუა (ბაზელი, შვეიცარია);

თავდამსხმელები: გიორგი კვერნაძე (ფროზინონე, იტალია), გიორგი აბუაშვილი (პეტროლული, რუმინეთი).

სატუინიო ცხრილი:

1.ნიდერლანდები	3	3	0	0	8-0	9
2.შვედეთი	3	2	0	1	9-1	6
3.საქართველო	3	2	0	1	3-3	6
4.ჩრ. მაკედონია	2	1	0	1	1-2	3
5.მოლდოვა	4	1	0	3	3-9	3
6.გიბრალტარი	3	0	0	3	1-1	3

თსუ სუპერთასის გამარჯვებულია

თსუ-ბათუმი 108:70

(28:11; 27:13; 34:24; 19:22)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი საქართველოს სუპერთასის მფლობელია. ლეგენდარული ქართველი მოთამაშისა და მწვრთნელის, ოთარ ქორქიას სახელობის ტიტული თსუ-მა მეორედ მოიგო. პირველად უნივერსიტეტელებმა ეს შორეულ, 2006 წელს მოახერხეს, როცა საქართველოს სუპერთასი პირველად გათამაშდა. მაშინ სტუდენტური გუნდი თსუ-ნიკორას სახელით გამოდიოდა და სუპერთასის მატჩში მოქმედი ჩემპიონი თბილავიამშენი დაამარცხა.

თსუ-ის გამარჯვება ახლა უფრო შთამბეჭდავი და განსაკუთრებით, დამაჯერებელი იყო. ლექსო ლაფანაშვილის გუნდმა მეტოქე ბათუმი 37 ქულის სხვაობით – 107:70 დაამარცხა. ბათუმი სუპერთასის მოქმედი მფლობელი იყო, მაგრამ სატიტულო მატჩში ამის გამო არ მონაწილეობდა. გასულ სეზონში საქართველოს ჩემპიონიც და თასის მფლობელიც თსუ გახდა და სუპერთასისთვის მატჩში მონაწილეობის უფლება ბათუმს, როგორც თასის გათამაშების ფინალისტს, ისე ერგო.

სამწუხაროდ, ბათუმმა თსუ-ს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მატჩი, რომლის საყურებლად თბილისი არენაზე ბლომად სტუდენტობა მოვიდა, დაძაბული არ აღმოჩნდა. შეუჩერებელი გახლდათ კახა ჯინჭარაძე, რომელიც თსუ-ელებმა მას შემდეგ დაიმატეს, რაც ფიბას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნენ და ფიბა ევროპის თასზე გადაინაცვლეს.

პირველი პერიოდი თსუ-მა 28:11 მოიგო, ხოლო დიდი შესვენებისთვის 55:24 იგებდა და როცა ამ ლიდერობას კიდევ 10 ქულა წაამატა, ბოლო პერიოდის წინ სხვაობამ 41 ქულას მიაღწია. ბოლო პერიოდში თსუ-მ მოედანზე სათადარიგოებს უხმო. თამაშის ბედი მის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე გადაწყდა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კახა ჯინჭარაძე დასახელდა, რომელმაც 49 ქულა, 6 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. მან 13 ცდიდან 11 სამქულიანი ჩააგდო. დაჯილდოების ცერემონიალზე სპეციალური პრიზი სუპერლიგის დირექტორმა, გიორგი ჯაფარიძემ გადასცა.

თსუ-ს კაპიტანმა, ნოდარ გოგოძემ კი, საქართველოს სუპერთასი ოთარ ქორქიას შვილისგან, ნოდარ ქორქიასგან ჩაიბარა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ძმები მამაგეიშვილები: „ყველაფერს გავაკეთებთ ქართველი გულშემატკივრების გასახარად“

საქართველოს 21 წლამდე ნაკრებში ძმები, ოთო და გიზი მამაგეიშვილები არიან გამოძახებულნი. ახალგაზრდული ნაკრებს 17 ოქტომბერს, ბათუმის აჭარაბეთ არენაზე, შვედ თანატოლებთან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის ჯგუფურ ეტაპის მნიშვნელოვანი მატჩი ელის.

– როგორ დაიწყო თქვენი საფეხბურთო კარიერა?

ოთო: ფეხბურთის თამაში დავიწყეთ ეზოში, ბავშვობიდან გვიყვარდა ბურთთან კონტაქტი. პირველი გუნდი საბურთალო იყო ჩვენთვის და დღესაც ამ გუნდის ღირსებას ვიცავთ.

– რა გავლენა მოახდინა საბურთალოს აკადემიამ თქვენს კარიერაზე?

ოთო: საბურთალოში გავიზარდეთ და კლუბთან ბევრი კარგი მოგონება გვაკავშირებს. ასევე იმ ადამიანებთან, ვინც მოღვაწეობდნენ და დღესაც აგრძელებ მოღვაწეობას. მადლობას ვუხდით თითოეული წამისთვის მათ, რადგან ჩვენს განვითარება-ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

გიზი: საბურთალო იყო ჩვენთვის პირველი კლუბი. ანბანის სწავლის და ფეხბურთში სიარულის დაწყების ეტაპი სწორედ მათ უკავშირდება. ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი, რასაც ფუნდამენტს ვეძახით და ფეხბურთელს მთელი კარიერის განმავლობაში მიყვება, ზუსტად ამ კლუბში ჩაიყარა. გარემო, სადაც ყოველთვის მიხაროდა და მიხარია მისვლა.

– საბურთალოს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – გიორგი მიქაძე. როგორ მიდის ახალ მწვრთნელთან შეგუების პროცესი?

ოთო: ბატონ ომარ თათრაძესთან ერთად კარგი თამაშები ჩავატარეთ. ვფიქრობ, რომ ძალიან ძლიერი სპეციალისტია და მან ეს ყველაფერი საქმით დაამტკიცა.

გიორგი მიქაძე ჩვენი გუნდისთვის ახალი სახე ნამდვილად არ არის, ამიტომ არ გაგვიჭირდა ერთმანეთთან შეხვედრა და მუშაობა, დავისახეთ მიზანი, რომელსაც მჯერა, რომ ერთიანობით აუცილებლად მივაღწევთ.

გიზი: ვფიქრობ, გიორგი მიქაძე კარგი მწვრთნელია და ყოველთვის საკუთარი თავის შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, ეს წინა სეზონში მყოფ სამგურალსაც ეტყობოდა და წლევანდელ თელავსაც. გაერთიანება და საერთო მიზნის პოვნა არ გაგვიჭირდება, რასაც უკვე დრო გვანახვებს. ბატონმა ომარმა ძალიან შრომატევადი სამუშაო გაწია ამ კლუბისთვის, ჩვენი ადგილი სეზონის განმავლობაში ცხრილის მოწინავეთა რიგებში იყო და წასვლამდეც შენარჩუნებული ჰქონდა სამეულში ადგილი.

– არც ისე წარმატებული რამდენიმე თამაშის შემდეგ საბურთალო ეროვნული ლიგის ცხრილში ისევ მესამე ადგილს იკავებს, რა განწყობაა გუნდში, რა მოლოდინები გაქვთ?

ოთო: მესამე წრე ნამდვილად არ ყოფილა ჩვენთვის წარმატებული, მაგრამ ყველაფერი წინ არის და იმედი მაქვს, რომ ჩემპიონატის დასასრულს ჩვენს სათქმელს ვიტყვით.

გიზი: განწყობა და რწმენა ამ გუნდს არასდროს დაუკარგავს. ვფიქრობ, საბაკრებო პაუზას დადებითად გამოვიყენებთ და ახალ მწვრთნელთან ერთად გავივლით იმ დეტალებს, რაც წარმატების მიღწევაში დაგვეხმარება. ჩემი აზრით, კარგ სიტუაციაში ვართ. მინიმუმი ადგილის შენარჩუნებაა, მიზანი კი – მთავარი ტიტულის მოპოვება.

– რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეროვნულ ნაკრებში თამაში?

ოთო: ძალიან სასიხარულოა საქართველოს ნაკრებში ყოველი გატარებული წამი, ორი ძალიან რთული და საინტერესო თამაში გვაქვს, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გავახაროთ ქართველი გულშემატკივარი და სიამოვნება მივანიჭოთ მათ.

გიზი: ყოველთვის საამაყოა და ამავდროულად სასიამოვნო, როდესაც შენი ქვეყნისთვის ბედნიერების და სიხარულის მინიჭების შანსი გაქვს. ალბათ არ არსებობს ფეხბურთელისთვის იმაზე მაგარი შეგრძნება, რასაც მოედანზე საკუთარი ნაკრების მაისურით თამაშის დროს განიცდი.

– სამომავლოდ რომ გვითხრათ, რომელ კლუბში თამაშზე ოცნებობთ?

ოთო: კონკრეტულად ოცნება არ მაქვს, უფრო მიზანს დავარქმევ, ტოპ ჩემპიონატში ვითამაშებდი სიამოვნებით.

გიზი: დღევანდელ სურვილს, ალბათ, სიტის დავუკავშირებ, რომელმაც ერთ კალენდარულ წელიწადში სამი ტიტული მოიპოვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლევან მაისაშვილმა საქართველოს ნაკრებიდან დატოვა

ლევან მაისაშვილის საქართველოს ნაკრებიდან წასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავი იყო. საქართველოს რაგბის კავშირმა (სრკ) დღეს ეს ინფორმაცია დაადასტურა.

მაისაშვილმა ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობა დაასრულა. მისი შემცვლელის ძებნა მიმდინარეობს და ლევანი თანახმაა, ახალი მწვრთნელის შერჩევამდე მოვალეობის შესრულება განაგრძოს.

სრკ მადლობას უხდის ლევანს ქართული რაგბისადმი ერთგულებისა და გამორჩეულ მორაგბეთა გუნდის ჭეშმარიტი ლიდერობისთვის. რაგბის კავშირში ვარაუდობენ, რომ ლევანი დარჩება ქართული რაგბის ოჯახის მნიშვნელოვან წევრად და სათანადო დროს ახალ ამპლუაში გადაინაცვლებს, საიდანაც ყველა დონის მოთამაშეთა პროფესიულ მომზადებას და განვითარებას გაუწევს მეთვალყურეობას.

იოსებ ტყემალაძე, სრკ-ს პრეზიდენტი:

მადლობას ვუხდი ლევანს იმისთვის, რაც მან ქართული რაგბისთვის გააკეთა. ის არის ჩვენი ეროვნული ნაკრების ყველაზე წარმატებული მწვრთნელი, სწორედ მან შეძლო და მიიყვანა ჩვენი გუნდი უდიდეს ისტორიულ ეტაპებამდე, როგორიც იყო უელსსა და იტალიასთან გამარჯვება და რაგბის ევროპის ზედიზედ ოთხჯერ ჩემპიონობა.

მან გამორჩეული წინამძღვრობა გაუწია მორაგბეთა დღევანდელ თაობას, გვერდში მყარად მედგა ქართული რაგბის წინსვლისთვის მუშაობაში, რომელიც დღეს გაცილებით უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე ლევანის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოსვლამდე.

მან ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შავი ლომის ტრიუმფალურ გამარჯვებებში სუპერთასის ტურნირზე. მოხარული ვარ, რომ დათანხმდა ჩვენთან დარჩენას, ჩვენ ერთად ვმუშაობთ მისი ახალი როლის უკეთ განსაზღვრაზე.

თავად ლევან მაისაშვილი წასვლის მიზეზად მსოფლიო თასზე წარუმატებელ გამოსვლას მიიჩნევს.

ლევან მაისაშვილი:

– მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლობის ანალიზის შედეგად გადავწყვიტე მთავარი მწვრთნელის პოზიციის დატოვება. გასული 4 წელი იყო უმნიშვნელოვანესი და ყოველთვის მადლიერი ვიქნები ჩემი გუნდის – მათი თავდაუზოგავი შრომისა და თავგანწირვისთვის. ვამაყობ იმით, რასაც ერთად მივაღწიეთ.

მჯერა, რომ ჩვენი პროგრესი თვალსაჩინოა და მომავალი კიდევ უფრო ნათელია, რადგან ჩვენს 20 და 18 წლამდე ნაკრებებში მოდიან ახალგაზრდა თაობის გამორჩეულად ნიჭიერი მორაგბეები.

მინდა მადლობა გადავუხადო სოსო ტყემალაძეს და რაგბის კავშირის გამგეობას ჩემ მიმართ გამოხატული ნდობისთვის. მადლობა ქართულ სარაგბო კლუბებს მათი მხარდაჭერისა და ეროვნული ნაკრების განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის. მადლობა ქართველ გულშემატკივარს – ისინი ყველგან და ყოველთვის ჩვენს გვერდით იყვნენ.

გეტყვით, რომ ლევან მაისაშვილის მოღვაწეობის პერიოდში საქართველომ პირველად დაამარცხა ტიერ 1 დონის მეტოქეები – იტალია და უელსი (2022); მოიგო ზედიზედ ოთხი რაგბი ევროპის ჩემპიონატი; ჰქონდა გამარჯვების საუკეთესო კოეფიციენტი (60%) – 40 მატჩიდან მოიგო 24, ფრე 3, წააგო 13 და მიიღო კვალიფიკაცია ზედიზედ მე-6 მსოფლიო ჩემპიონატზე.

შავმა ლომმა ზედიზედ ორჯერ მოიგო რაგბი ევროპის სუპერ თასი.

შეგელია ისევ საუკეთესოა

ნბა-ის პრესეზონის მეორე შეხვედრაში სან ანტონიო სპურზი მაიამი ჰიტს შეხვდა და მეტოქე 16-ქულიანი სხვაობით, 120:104 დაამარცხა. გამარჯვებულთა შორის პარკეტზე 9 წუთი გაატარა სანდრო მამუკელაშვილმა და მისთვის მიცემული დრო შედეგიანად გამოიყენა.

მატჩი სამი მეოთხედის მანძილზე თანაბრად მიმდინარეობდა. გრეგ პოპოვიჩის გუნდმა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ბოლო მეოთხედში შეძლო.

სან ანტონიოს რიგებში საუკეთესო იყო ვიქტორ ვემბანიამა. 2023 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა 23 წუთი ითამაშა და ამ დროში მეტოქის კალათში 23 ქულა მოათავსა, 4-ჯერ მოხსნა ფარიდან ასლეტილი ბურთი, 4 შედეგიანი პასი გააკეთა და მოწინააღმდეგეს ბურთი სამჯერ დაუფარა.

რაც შეეხება სანდრო მამუკელაშვილს, ქართველმა პარკეტზე 9 წუთი გაატარა. სანდრომ შეხვედრაში ორჯერ ისროლა და ორივე სამქულიანი ზუსტი იყო. 6 ქულის გარდა, მამუკელაშვილმა გუნდს 3 მოხსნა და 1 ჩაჭრაც შემატა.

სეზონის დაწყებამდე სან ანტონიო კიდევ სამ მატჩს გამართავს. პოპოვიჩის კალათბურთელები ორჯერ ჰიუსტონ როკეტსს დაუპირისპირდებიან, ბოლოს კი გოლდენ სტეიტ უორიორსს გაეჯიბრებიან. რეგულარული სეზონის პირველ მატჩს სან ანტონიო დალასის წინააღმდეგ 26 ოქტომბრის გამთენიისას ჩაატარებს.

ევროპის მთავარ საკალათბურთო ტურნირზე, ევროლიგაზე ორი ქართველის გუნდი შეხვდა ერთმანეთს. მანუჩარ მარკოიშვილის მონაკომ თორნიკე შენგელიას ვირტუსს უმასპინძლა და 59:83 დამარცხდა.

მარკოიშვილი მონაკოს მთავარი მწვრთნელის ასისტენტია, ხოლო შენგელია – ვირტუსის ლიდერი.

ბოლონიელებმა პირველივე პერიოდში მოიპოვეს უპირატესობა (23:15) და მატჩის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. მატჩის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე კი, თორნიკე გახდა. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 18 შეადგინა. ქართველის სრული სტატისტიკა ასეთი იყო: 26 წუთი, 12 ქულა (4/2 ორქულიანი, 5/2 სამიანი, 2/2 საჯარიმო), 5 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა.

ვირტუსს ევროლიგაზე ორი ტურის შემდეგ თითო მოგება-წაგება აქვს. მომდევნო მატჩს 15 ოქტომბერს იტალიის ჩემპიონატში ტრენტოსთან გამართავს.

ლიგა ენდესას მე-5 ტურში ლენოვო ტენერიფემ სტუმრად ხირონა 79:65 დაამარცხა, რის შედეგადაც ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

გიორგი შერმადინმა პარკეტზე 14 წუთი გაატარა, საკუთარ გუნდს კი, 7 ქულა და 1 მოხსნა შესძინა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ზოგადად, კანარიელებმა გუნდური კალათბურთი ითამაშეს და ყველაზე შედეგიანი მხოლოდ 13 ქულით ჟოან სასტრე იყო.

ლენოვო ტენერიფე ლიგა ენდესაში 2 მოგებით და 3 წაგებით მე-13 ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 22 ოქტომბერს, მადრიდის რეალს უმასპინძლებს.

სამგლოვიარო განცხადებები

ნანული (ნანა) გუნიას მოგონება

გავიდა უშენოდ ორი წელი, ჩემო საყვარელო ნანა. ეს დრო ძალზე მტკივნეულია. გვაკლიხარ ყველას – ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.

ჩემო ნანა, შენს ოჯახში მატება გვაქვს – პატარა ნანა. რასაც სულ ნატრობდი, ასრულდა, გილოცავ! ნანა, შენი შვილები თავიანთ საქმეს ისე მიყვებიან, შენ რომ გაგიხარდებოდა.

როგორ გვაკლია შენი ღიმილი და სითბო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული სამუდამო სასუფეველში.

ლენა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უმაღლესი საბჭოს აპარატის პრესსპიკერი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელე-რადიო კომპანიის ქართული რედაქციის მთავარი რედაქტორი, ცნობილი ჟურნალისტი

დალი ჯონჯუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოოდი ბ



შვეულად: 1. ტაძარი ქუთაისში; 2. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 3. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 4. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 12. სამხრეთაფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის ოპერაცია; 13. ეზოს დიდი რკინის კარი; 16. სასტუმრო გაგრაში; 17. ხანგრძლივი ღრმა ძილის მდგომარეობა; 19. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 20. აბანოს თანამშრომელი.

თარაზულად: 6. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დაკეპილი ხორცის გულიანი სვანური ორცხობილა; 8. ფრანგი კინორეჟისორი; 10. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 11. თხუნელის მეორე სახელწოდება; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. სპარსელი პოეტი; 21. მსხვილად დაფქვილი სიმინდის მარცვალი; 23. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 23. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ჩაის დეგუსტატორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩედერი; 2. აკრი; 3. მუხამბაზი; 4. ცაიში; 5. მალხაზი; 8. ლორისი; 9. ხაბიზგინა; 12. მადონა; 14. გერანი; 16. აპოლო.

თარაზულად: 1. ჩოხატაური; 6. ბუფონადა; 7. დასლერი; 9. ხარატი; 10. ბივა; 11. მიკრობი; 13. ბიგლი; 15. მარიცა; 17. მიუსერა; 18. კოსოვო; 19. ირონია; 20. რომანსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სადროშო; 2. აფალინა; 3. ჩინეჩიტა; 4. ჯეჯილი; 5. კასკადი; 8. კანტონი; 9. სიბარიტი; 12. საქსაული; 13. გლუკოზა; 16. სოლფეჯიო; 17. ოლიმპია; 19. აპნისი; 20. ასკოტი.

თარაზულად: 6. პაციფისტი; 7. ბედლამი; 8. კრეოლი; 10. კორსიკა; 11. კაფია; 14. ბალატონი; 15. ექსპორტი; 18. როტარუ; 21. პოზიცია; 22. ისტრი; 23. იტალია; 24. პორტოფინო.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

16 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6984

ევრო — 2.8393

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2872

100 რუსული რუბლი — 2.7741

ამინდის პროგნოზი 16 ოქტომბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომას ტუხელს ბაიერნის რამდენიმე ფეხბურთელთან კონფლიქტი აქვს

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტომას ტუხელს ბაიერნის რამდენიმე ფეხბურთელთან კონფლიქტი აქვს, რადგან ისინი მის ტაქტიკურ სქემებს არ ეთანხმებიან. შესაძლოა ამის გამო ტუხელი გაათავისუფლონ კიდეც, რადგან ბაიერნი წლევანდელ სეზონში ჯერჯერობით არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება. თვითონ მწვრთნელი ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს.

კილიან მბაპე: „ნაკრებში თამაში ჩემთვის დიდი სიამოვნებაა“

საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა კილიან მბაპემ ჰოლანდიას 2 გოლი გაუტანა და მისი გოლების წყალობით ფრანგებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება. მატჩის შემდეგ კილიანმა თქვა, რომ მისთვის ნაკრებში თამაში უდიდესი პატივი და სიამოვნებაა და ის მომავალშიც გააგრძელებს გულშემატკივრის გახარებას:

– მიხარია, რომ გოლები გავიტანე, მაგრამ მთავარი გუნდის გამარჯვებაა. როდესაც ნაკრებში ხარ, ორმაგ პასუხისმგებლობას გრძნობ და იცი, რომ შეცდომის უფლება არ გაქვს.

კრიშტიანო რონალდუ: „ევრო 2024-ზე თამაში მინდა“



პორტუგალიის ნაკრების ლეგენდამ კრიშტიანო რონალდუმ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ მას სურს პორტუგალიის ნაკრებში კარიერის გაგრძელება და ევრო 2024-ზე თამაში. რონალდუმ დასძინა, რომ ის ამისთვის ყველაფერს გააკეთებს:

– მინდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშო და ვფიქრობ, რომ ეს შემიძლია, თუმცა გადაწყვეტილება მწვრთნელმა უნდა მიიღოს. პორტუგალიის ნაკრებს აქვს უნარი, რომ ევროპის ჩემპიონატი კიდევ ერთხელ მოიგოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ხატია ბუნიათიშვილის კონცერტის ყველა ბილეთი გაყიდულია

კარნეგი ჰოლში 19 ოქტომბერს ქართველი პიანისტის ხატია ბუნიათიშვილის კონცერტი გაიმართება.

პიანისტის კონცერტზე დასასწრები ყველა ბილეთი ელვის სისწრაფით გაიყიდა. ხატია ნიუ-იორკში შეკრებილი მსმენელისთვის შოპენის, ბახის, შუბერტის, ლისტის ნაწარმოებებს შეასრულებს.

ლიზი გოზალიშვილმა გერმანული „ვოისის“ მწვრთნელები შემოაბრუნა

19 წლის ქართველი მომღერალი ლიზი გოზალიშვილი გერმანული „ვოისის“ მონაწილეა. მან ბრმა მოსმენის ტურში მაიკლ ჯექსონის ერთ-ერთი ჰიტი „დედამიწის სიმღერა“ შეასრულა და მწვრთნელების მოწონება დაიმსახურა:

– სცენაზე გასვლამდე ალბათ ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ატირებულ მწვრთნელს და სპონტანურ დუეტს – ნამდვილად ვერ.

სიმღერა ისეთ თემას ეხება, რაც ძალიან აქტუალურია. მსოფლიოში დღეს ისევ ომია. მე საქართველოდან ვარ, ჩემმა ქვეყანამ არაერთხელ გადაიტანა ომი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ სიმღერით მეთქვა ის, რასაც ვფიქრობ.

დავით შანიძე ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელია

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავი“ სამხატვრო ხელმძღვანელად დავით შანიძე დაინიშნა. მან ეს პოზიცია 9 ოქტომბრიდან დაიკავა. მ. ნისტრის შესაბამისი ბრძანება, რომელიც ანსამბლის შემოქმედებითი გუნდის მიერ სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევად ჩატარებული არჩევნების შედეგს ეფუძნება, უკვე გამოიცა.

დავით შანიძის მუსიკალური განათლება მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მესამე მუსიკალურ კოლეჯსა და ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდოსადირიჟორო ფაკულტეტს უკავშირდება. იგი ლოტბარ ანზორ ერქომაიშვილის მოსწავლეა. დავით შანიძის პროფესიული საქმიანობა მრავალფეროვანია: იყო ანსამბლ „მართვეს“ სოლისტი; ანსამბლ „ბიჭების“ მოსამზადებელი ჯგუფების მუსიკალური ხელმძღვანელი; ვაჟთა ანსამბლ „გეორგიკას“ დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, სოლისტი. ქართული ეთნოჯაზ-ჯგუფის „შინ“ სოლისტი, ვოკალისტი; ეთნოჯაზ-ჯგუფის „ეგარი“ დამაარსებელი, მხატვრული ხელმძღვანელი, კომპოზიტორი, სოლისტი.

დავით შანიძის პროექტებია: „დავითი და ურსა“ და „დავითშანი: „კავკასიის მარგალიტი“. იგი სხვადასხვა მუსიკალურ პროექტში აქტიურად მონაწილეობს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ინგა ფერაძეს მახათას პანთეონში დაკრძალავენ

ბრიუსელში გარდაცვლილ მომღერალს ინგა ფერაძეს მახათას პანთეონში დაკრძალავენ.

მაკა რაზმაძე, მომღერლის მეგობარი:

– ინგა ფერაძე საქართველოში იქნება ორშაბათს 16 ოქტომბერს. ორშაბათსვე დასვენებული იქნება სარიტუალო დარბაზში უნივერსიტეტის ქუჩა 6-ში. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ქუჩაზე.

სამშაბათს დილას მოხდება მისი გადასვენება ფილარმონიაში და 12 საათიდან დაიწყება სამოქალაქო პანაშვიდი.

გასვენება მოხდება ფილარმონიიდან 3 საათზე. დაიკრძალება მახათას მთაზე პანთეონში.

ნათელში იყავი, ჩემო ლამაზო მეგობარო.

„შუა ქალაქში“ ამოჭრეს ის მომენტები, რომლებიც მათ პროპაგანდისტულ მანქანასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა



ტელეკომპანია „იმედმა“ სერიალში „შუა ქალაქში“ ამოჭრა ის მომენტები, რომლებიც პროპაგანდისტულ მანქანასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა.

ინფორმაცია **ალექსანდრე მიშველიძემ** გაავრცელა:

– ტელეკომპანია „იმედმა“ „შუა ქალაქში“ იუთუბიდან ყველას ააღებინა და თვითონ განათავსა თავის იუთუბ არხზე. დაბალ ხარისხში და 4X4-ზე კადრი რომაა, ამაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს განცხადება სულ სხვა რამეზეა.

ყველა სერიიდან ამოჭრეს ის მომენტები, რომლებიც მათ პროპაგანდისტულ მანქანასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. იქნება ეს წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების სახელების ხსენება სერიალში, ირაკლის სამსახური სამინისტროებში, თუ სხვა.

სერიალიდან გამქრალია ირაკლის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობის მთლიანი ისტორია (მის კაბინეტში ეკიდა მიხეილ სააკაშვილის ფოტო) და ეს მაშინ, როცა მერის როლის შემსრულებელი (მისი პერსონაჟი მთლიანად ამ ხაზს ებმოდა) ახალ გადაცემაში დაპატიჟეს.

აქ საუბარია სატელევიზიო ეთერში გასულ კადრებზე, იუთუბზე „იმედს“ ჯერ მხოლოდ 6 სეზონი უდევს. თანდათან იდება და იუთუბზეც მსგავსი ვერსია დაიდება, დიდი ალბათობით.

მე-6 სეზონიდან იუთუბის ვერსიაში ამოჭრილია ირაკლის კაბინეტის სცენები (ჯანდაცვის სამინისტრო). ზოგი სცენა არის (თუ სერიის ფინალთან აშკარა კავშირი აქვს და არც არავის ახსენებენ მაღალჩინოსნებიდან), უმეტესობა ამოჭრილია.

მაგალითისთვის: მე-5 სეზონის ფინალურ 24-ე სერიაში, ამოჭრილია საახალწლო ეპიზოდის სპეციალური სტუმარი გიგი უგულავა, მაშინ როცა, სხვა სტუმრები – „მწვანე ოთახის“ სოლისტი, დუეტი „ჯორჯია“ – კვლავ არიან სერიაში.

ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებულმა თანამშრომელმა სასამართლო დავა მოიგო

საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებულმა ნინო მაჭარაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში ეროვნულ მუზეუმს დავა მოუგო.

სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია ეროვნული მუზეუმიდან ნინო მაჭარაშვილის გათავისუფლება. ის 2022 წლის იანვრამდე გიდი-პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობდა. მის ინტერესებს სასამართლოში იურიდიული კომპანია „ჯასთის ლიგ“ იცავდა. ამ კომპანიას მუზეუმიდან გათავისუფლებული 3 თანამშრომლის დავა ჰქონდა სასამართლოში – პირველი ინსტანციის სასამართლომ სამივე შემთხვევაში მუზეუმი გაამტყუნა.

ნინო მაჭარაშვილის შემთხვევაში ბათილად იქნა ცნობილი გათავისუფლების ბრძანება. მოპასუხეს დაეკისრა აღდგენის ნაცვლად კომპენსაცია. ასევე, ერთი თვის კომპენსაციის გათვალისწინებით, 2022 წლის 15 თებერვლიდან განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიურად. ბაჟის გადახდა 100 ლარი, ანუ 2022 წლის 15 თებერვლიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით გამოდის 20 თვის განაცდური.

ეროვნული მუზეუმიდან 2022 წელს 100-მდე ადამიანი რეორგანიზაციის სახელით გაათავისუფლეს – მათ დიდ ნაწილს მუზეუმის წინააღმდეგ სასამართლო დავა აქვს დაწყებული.

გალაკტიონ ტაბიძეს სპექტაკლი მიეძღვნა

ქართული პოეზიის მეფეს გალაკტიონ ტაბიძეს სპექტაკლი მიეძღვნა.

„ცამეტი“ – ასე უწოდა წარმოდგენას რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა. იგი საავტორო სპექტაკლის პრემიერას 17 ოქტომბერს ქუთაისის თეატრის მცირე სცენაზე გამართავს.

ერთმოქმედებიანი ტრაგედია გალაკტიონ ტაბიძის პირადი დღიურების მიხედვით არის დადგმული და მასში მონაწილეობას, მსახიობებთან ერთად, სპეციალურად ამ სპექტაკლისთვის შექმნილი თოჯინებიც მიიღებენ.

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. აეროპორტი ტოკიოში; 9. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 16. მოკლე, ალეგორიული მოთხრობა.

თარაზულად: 1. სახლის ზედა ნახევარსართული; 6. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 7. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 9. ოპერა „ტოსკას“ კომპოზიტორი; 10. საქონლის შიგნეულისა და ჩლიქებისაგან მომზადებული წვნიანი კერძი; 11. ვეტერინარის ძველი ქართული სახელწოდება; 13. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 15. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. სიგელი რაიმე წარმატებისთვის; 18. სოფელი ლანჩხუთის რაიონში; 19. გოეთეს ტრაგედია; 20. საყოველთაო ლოცვა დიდი საეკლესიო დღესასწაულის დროს.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა